ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 12 დეკემბერი 2002 №237 (1759) | ფასი 50 თეთრი


CHAMPIONS LEAGUE

# რას თამაშობს რეალი?



რეალი — ლოკომოტივი 2:2. რაულის ორი გოლი რუსების ძლევას ვერ ეყო



რუუდ ვან ნისტელროიმაც წყვილი გაიტანა

# გინდათ, ფოკუსი გაჩვენოთ?

## ფედერაციამ ჩივაძე გაამრავლა



ვალერი ჩოლარია

როცა ორ კაცს რაიმე საკითხზე გადაწყვეტილება აქვს მისაღები და მეტ-ნაკლებად განსხვავებული პოზიცია აქვთ, ერთმანეთის პირისპირ სხდებიან და თანხმდებიან, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ტელეფონითაც რომ გაისაუბრონ, არაფერი დაშავდება.

მაგრამ სამნი თუ არიან? ტელეფონის ვარიანტი რთულდება: პირველი თანხმდება მეორესთან, მეორე მესამესთან, მესამე პირველთან.

ამოცანა კიდევ უფრო გავართულოთ. ვთქვათ, გადაწყვეტილება თორმეტ კაცს შორის ტელეფონით ან კავშირგაბმულობის რაიმე სხვა ფორმით არის მისაღები: პირველი თანხმდება მეორესთან, მეორე მესამესთან... და რომ არ დაიბნეთ, გავჩერდეთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე მოგახსენებთ, რომელმაც გუშინ 12 ხმით გადაწყვეტილებები ისე მიიღო, სხდომა არ ჩაუტარებია. თორმეტმა კაცმა როგორღაც მოახერხა და პოზიციები შეაჯერა, მერე თორმეტ სხვადასხვა ადგილას ხელი ასწია და ამის თაობაზე ფედერაციას შეატყობინა.

იკითხავთ, რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღმასკომის წევრთა შეკრებაო. ჩვენც ამას არ ვკითხულობთ...

აქვე შევახსენებთ, რომ აღნიშნული გამოკითხვა თუ სხდომა 29 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, რასაც ხელი მერაბ ჟორდანიას ავადმყოფობამ შეუშალა. ცნობისთვის: ფედერაციის პრეზიდენტი ახლა შვეიცარიაშია, უეფას კომიტეტის სხდომაზე.

აღმასრულებლებმა გამოკითხვით გადაწყვიტეს, რომ ფედერაციის ყრილობა, რომელზეც ფიფას მოთხოვნით ახალი წესდება უნდა მიიღონ (ხმის მიცემა ტელეფონით ხომ არ მოხდება?), 14 თებერვალს გაიმართება. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რატომ გახდა საჭირო ფიფას ჩარევა: 12 წლის მანძილზე ქართველ ფედერალთაგან ვერავინ აღმოაჩინა, რომ ქართული წესდება ფიფა-უეფას წესდებებს არ შეესაბამებოდა.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ ფედერაციაში ორი ახალი დეპარტამენტი შეიქმნება — შეჯიბრისა და განვითარების, რომელსაც რომან შოთაძე უხელმძღვანელებს და ნაკრებთა მომზადებისა, ალექსანდრე ჩივაძის მეთაურობით.

კეთილი და პატიოსანი, ფედერაცია ნაკრების მომზადებაზე რომ უნდა ზრუნავდეს, მტკიცება რად უნდა. მაგრამ, მგონი, ცოტა სასაცილო ვითარება იქმნება: წარმოიდგინეთ, ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებთა მომზადების დეპარტამენტში მიდის და მის ხელმძღვანელ ალექსანდრე ჩივაძეს ნაკრების მომზადებაში დახმარებას სთხოვს...

მწერალ-ფანტასტებს აქვთ, კაცი დროში მოგზაურობისას საკუთარ თავს რომ ხვდება. რით არ არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობის სტილი სრულიად ფანტასტიკური?



მერაბ ჟორდანია

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

**ბარსელონა 3:1 ნიუკასლი**

1:0 დანი (7), 1:1 ამეობი (24), 2:1 კლუივერტი (35), 3:1 მოტა (58)
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი (კრისტანვალი 14), პუიოლი, დე ბური, კოკუ (მენდიეტა 16), რიკელმე, ხავი, მოტა, ოვერმარსი, კლუივერტი, დანი (საველა 78)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ჰიუზი, ბერნარი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა (ჩოპრა 84), ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

### C ჯგუფი

**დორტმუნდი 0:1 მილანი**

0:1 ინძაგი (49)
დორტმუნდი: ლემანი, ბაინრიხი (ევანილსონი 73), ვორნსი, მეცელდერი, დედე, ფრინგსი, როსიცკი, კელი (რეინა 83), ევერტონი (რიკენი 63), ამოროზო, კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (სერჯინიო 78), შევჩენკო (ლაურსენი 90), ინძაგი (რივალდო 85)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
52 000 მაყურებელი

**რეალი 2:2 ლოკომოტივი**

1:0 რაული (21), 1:1 ობიორა (48), 1:2 მნგუნი (74), 2:2 რაული (76)
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, იერო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო (მორიენტესი 77), მაკელელე (ფ. კონსეისაო 32), ზიდანი, რაული, რონალდო (გუტი 46)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკჰეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, მამინოვი, მნგუნი, ლოსკოვი, პიმენოვი (დროზდოვი 80), ჟულიო სეზარი (ობიორა 46)
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
55 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### D ჯგუფი

**იუვენტუსი 4:0 ბაზელი**

1:0 ტრეზეგე (3), 2:0 მონტერო (34), 3:0 ტაკინარდი (43), 4:0 დელ პიერო (51პ)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (ფერარა 59), მონტერო, იულიანო, ბირინდელი, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (კონტე 72), ტრეზეგე (ზალაიეტა 65)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ბაზელი: ცუბერბიულერი, ბარბერისი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, ქასონზიტო, კანტალუპი, ჩიპერფილდი (დურუზი 65), ჰ. იაკინი (ტუმი 77), ხიმენესი (ვარელა 46), როსი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტეზი (პორტუგალია)
22 639 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 დეპორტივო**

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (7, 55)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ბეკჰემი 81), სოლსკიარი, ფ. ნევილი (ფორლანი 81), ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი (რიჩარდსონი 89), სქოულზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დეპორტივო: ხუანმა, სკალონი, რომერო, სეზარი, კაპდევილა, ვიქტორი, სერხიო, მაურო სილვა, ამავისკა (ტრისტანი 46), ვალერონი (მაკაია 65), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
67 014 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |



რეალი — ლოკომოტივი. მოსკოველი მგუნის გოლმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სენსაციის სუნი დაატრიალა




ტრავმამოშუშებულ დავიდ ტრეზეგეს გოლის გასატანად სამი წუთი ეყო



დორტმუნდი — მილანი. დარიო შიმიჩმა დედე იტვირთა



ნიუკასლელი ქომაგი „კამპ ნოუზე“ ხალისით მივიდა და უგუნებოდ წამოვიდა



მანჩესტერი — დეპორტივო. რუუდ ვან ნისტელროი სტუმართა გარემოცვაში საგოლედ შეიმართა

### ჰოლანდია
თასის II ეტაპი
როზენდალი 1:3 ბრედა

### პორტუგალია
თასის IV ეტაპი
ბარეირენსე 1:2დ.დ. (1:1) ამადორა

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბოვე 0:0 ვალანსი

### საბერძნეთი
თასის 1/8 ფინალი
პირველი მატჩები
არისი 3:0 იანინა
კალამარია 0:2 ითნიკოსი

### გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
დინამო 1:1 ესენი

## კალათბურთი

### ევროლიგა
პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 11 დეკემბერი

**A ჯგუფი**
პაო ორტეზი 88:93 ბენეტონი
სკიპერი 82:70 ბარსელონა

**C ჯგუფი**
რეალი 89:78 პარტიზანი
ცსკა 78:62 ულქერი

**B ჯგუფი**
ბუდუჩნოსტი 84:92 პანათინაიკოსი

### ულების თასი
ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 11 დეკემბერი

**C ჯგუფი**
ტრიესტი 75:68 ზალონი

**D ჯგუფი**
შარლერუა 75:87 ლეიდა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. A ჯგუფი

## ინტერი 3:2 ლევერკუზენი

მილანი. „სან სირო". 36 342 მაყურებელი. მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

1:0, 2:0 დი ბიაჯო (15, 27), 2:1 ჟივკოვიჩი (63), 3:1 ბუტი (80ს.კ.), 3:2 ფრანცა (90)

ტოლდო, ხ. ძანეტი, გამარა, კორდობა, პასკუალე, ალმეიდა, დი ბიაჯო (ბეატი 70), ემრე, რეკობა, ვიერი (ს. კონსეისაუ 73), კრესპო (კალონი 88)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ბუტი, კლაინი, რამელო, ჟუანი, ჟივკოვიჩი, შნაიდერი, ბალიტჩი (ბიროფკა 78), პლასენტე, ბაშთურქი (შიმაკი 83), ბერბატოვი (ფრანცა 75), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ჯარიმა: 15-14; კუთხური: 7-10; კარისკენ დარტყმა: 3-8; კარში დარტყმა: 8-7; თამაშგარე: 5-3

# კუპერი კუპერს აღარ ჰგავს

## ტოპმიოლერმა განსხვავება ვერ იგრძნო



ლუიჯი დი ბიაჯომ ორიდან ერთი თავით გაიტანა

„ინტერმა" ბოლო მატჩები არაკუპერისეულად ჩაატარა — ბევრი გაიტანა და ბევრიც გაუშვა. ორ შეხვედრაში („ლაციოსთან" და „ლევერკუზენთან") დაგროვილი ბურთების შეფარდება (6-5) „ინტერის" შეტევის სიძლიერესა და დაცვის სისუსტეზე მიუთითებს. საამისოდ მიზეზები გუნდს საკმაოდ დაჰგროვებია. კანავარო-მატერაცის არყოფნაში მილანელთა უკანა ხაზმა ხუთი ბურთი ყლაპა, მაგრამ სამაგიეროდ, ვიერი-კრესპოს გამოუჩნდენ დამხმარენი. ჯერ ემრემ, ახლა კი ლუიჯი დი ბიაჯომ ითავეს გოლსაქმე.

მატჩი ფარმაცევტთა შეტევებით დაიწყო და უკვე მეორე წუთზე დიმიტარ ბერბატოვმა კუთხურიდან ჩაწოდებულს სახიფათო თავური შეაგება. ბულგარელის თავიდან ბურთი მასპინძელთა კარის ძელს დაეჯახა.

გერმანული გუნდი ტაიმის პირველ მესამედში უფრო ფეხგამართული თამაშობდა, თუმც „ინტერის" პირველივე კუთხური გოლად იქცა. ალვარო რეკობასგან დაცაციავებულ ბურთს ახლო ძელთან ჩასაფრებულმა ლუიჯი დი ბიაჯომ მცველთან ჭიდილში უთავაზა და ბუტს შანსი არ დაუტოვა.

გოლგაშვებულთაგან ისევ ბერბატოვმა, მერე კი ბალიტჩმა შეაწუხეს ტოლდო, მაგრამ მილანელთა მეკარე ფხიზლად იდგა.

მეორე საგოლე კომბინაცია ხავიერ ძანეტიმ წამოიწყო. მარჯვენა ფლანგზე ჩაიშრიალა, ბურთი რეკობას გადაულოცა, ურუგვაელის პასს კი საჯარიმოში კვლავ ლუიჯი და ბიაჯო დაუხვდა. მან ბურთი ერთი შეხებით შეჭედა ბუტის კარში.

ტაიმის მიწურულს ერნან კრესპოს გასამება მართებდა, როცა დი ბიაჯოს პასს თავი დაჰკრა, თუმც ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

შესვენების შემდეგ „ლევერკუზენი" გააფთრებით ეკვეთა დამხვდურთა საჯარიმოს, ოღონდ დასაწყისში ვერაფრით იხეირა. პირიქით, კონტრიერიშებზე მოთამაშე „ინტერს" კიდევ შეეძლო გატანა — ემრემ მახვილი კუთხიდან კარგად ვერ დაუმიზნა.

ლევერკუზენელებმა ერთი მაინც გაქვითეს. ნოივილმა კუთხურიდან ჩაჰკიდა და ბორის ჟივკოვიჩმა „ინტერის" დაცვა პირღია დატოვა. სტუმარმა ტერფის გარეთა მხრით მშვიდად ამოუჭირა ბურთს, რომელიც ტოლდოს კარში შეაჭიკარტა.

ისევ ერნან კრესპოს მიეცა შანსი, მაგრამ არგენტინელმა როგორღაც მოახერხა ცარიელ კარში ვერგატანა. ორი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ კრესპო ბუტმა დაასაჩუქრა. გერმანელმა მეკარემ გაუგებარი მოძრაობის შედეგად ბურთი საკუთარ კარში შეაგორა.

კლაუს ტოპმიოლერს გვიან, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაუმართლეს. დამატებულ დროში ბიროფკას პასით ბრაზილიელმა ფრანცამ მზაკვრულად დაურტყა ტოლდოს და იტალიელმა კარში შესრიალებულ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

დიდი ალბათობაა იმისა, რომ ტრავმირებულ მატერაცის და კანავაროს კრისტიან ვიერი და ლუიჯი დი ბიაჯო შეუერთდნენ. ვიერი კუნთის დაჭიმვის გამო შეცვალეს, მანამდე კი წელატკივებული დი ბიაჯოც შესაცვლელი გახდა.

ექტორ რაულ კუპერმა ექსტქულიანი მწვრთნელის საკადრისად ისაუბრა: „ძალიან კარგად შევუზღუდეთ სივრცეები მეტოქეს, რის ხარჯზეც სათამაშო უპირატესობა მოვიპოვეთ. გუნდმა აზრიანი ფეხბურთი აჩვენა. სამი ნახევარმცველით თამაშისას ფლანგების მოსუსტებით გავრისკეთ, მაგრამ მცველებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დავალებას. სამწუხაროა, რომ ვიერი და დი ბიაჯო დაშავდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში შესვენებაა და ვფიქრობ, მესამე ტურისთვის ორივე გამოკეთდება".

კლაუს ტოპმიოლერი: „თუ გახსოვთ, პირველ ჯგუფურ ეტაპზეც ზედიზედ ორჯერ დავმარცხდით, მაგრამ ჯგუფიდან გაძრომა არ გაგვჭირვებია. „ბარსელონასთან" და „ინტერთან" თამაშის შემდეგ ვნახე, რომ ჩვენს შორის არცთუ დიდი განსხვავებაა. ბიჭებმა მილანში შესანიშნავად ითამაშეს და საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთიც აჩვენეს. ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინაა".

**გაგა ხუციშვილი**



ბობი რობსონმა ქოლგა მოიმარჯვა...

# ნაწვიმარი ამბავი

„ნიუკასლის" 4 ათასამდე ფანი ბარსელონაში წვიმის სანახავად ჩავიდა. თითქოს ნიუკასლში მზით გათანგულებს ცის ცრემლების ნახვა მონატრებოდეთ.

ბარსელონას თავზე ცას პირი მოეხსნა და წვიმას ისე ბარაქიანად ღვრიდა, რომ ბელგიელი მსაჯი დღეში სამჯერ (ჭამის შემდეგ) ამოწმებდა „კამპ ნოუს" საფარს. ფრანკ დე ბლეეკერმა დატბორილ მოედანზე ბურთის გაგორებაც სცადა, მაგრამ ამაოდ. არც კატალონიელი გულშემატკივრები მისულან სტადიონზე, აქა-იქ კანტიკუნტად მოხეტიალე ბიჭბუჭობა თუ გამოჩნდებოდა. ნიუკასლელმა ფანებმა კი, როცა შეიტყვეს, მატჩი გადაიდოო, მოედანზე სურათების გადასაღებად შევიდნენ, თუმც ესპანურმა პოლიციამ დიდხანს არ აპარპაშა ინგლისელები.

მინდორზე ქოლგიანი ბობი რობსონი დადიოდა. მან და ლუის ვან გაალმა უეფას დელეგატ მაიკ ლის თანხმობა განუცხადეს მატჩის გადადებაზე ლიმ თქვა ლიგის წესდების თანახმად, შეხვედრა მეორე დღეს უნდა გაიმართოსო. კი ბატონო, კვერი დაუკრეს მწვრთნელებმა.

ლუის ვან გაალი: „მსაჯმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია".

ბობი რობსონი: „ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. „ნიუკასლი" ფანებმა გვარიანი თანხა გაიღეს, რომ გუნდისთვის ექომაგათ. ალბათ, ყველა ვერ დარჩებოდა, ზოგიერთი შინ დაბრუნდებოდა".

**გაგა ხუციშვილი**



...ჯერმან ჯენასმა გაზეთი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. B ჯგუფი

## აიაქსი 2:1 რომა

ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა". 51 342 მაყურებელი. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

1:0 იბრაჰიმოვიჩი (11), 2:0 ლიტმანენი (66), 2:1 ბატისტუტა (89)

სტეკელენბურგი, ტრაბელსი (იაკუბუ 32), პასანენი, ბერგდოლმო, მაქსველი, დე იონგი, პიენაარი, ვიჩგე, ვან დერ მეიდე (ბუხარი 74), იბრაჰიმოვიჩი, მიდო (ლიტმანენი 57)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, დელასი (მონტელა 61), პანუჩი, კაფუ, ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი, კასანო (ბატისტუტა 72)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ჯარიმა: 25-32; კუთხური: 2-4; კარისკენ დარტყმა: 3-7; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 0-1

# აიაქსი!

## მოგონებები გარდასულ დღეთა



ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლმა „რომა" გატეხა

ზლატან იბრაჰიმოვიჩის მიერ შეხვედრის დასაწყისში გატანილმა გოლმა „რომა" გატეხა.

„ძალიან ძნელი თამაში გვერგო — განაცხადა რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — ჩვენ ამსტერდამში გასამარჯვებლად ჩამოვედით, მაგრამ გოლი თამაშის დასაწყისშივე გავუშვით და ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. ამ ფსიქოლოგიურმა დარტყმამ მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში დაღდასმულები დაგვტოვა. ჩემი ფეხბურთელები ნელა ირჯებოდნენ, ოღონდ ფიზიკური უძლურების გამო კი არა, იმიტომ, რომ გადამწყვეტილებებს ვერ იღებდნენ სხარტად. შესაბამისად, „აიაქსი" შეტევასაც ასწრებდა და დაცვაში გადაადგილებასაც. მგონი, ჩვენი წაგება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმავე ცუდმა თამაშმა განაპირობა".

კაპელომ მეკარე, ფრანჩესკო ანტონიოლი არაფერში დაადანაშაულა, არადა, ზლატანის გოლი იმიტომ გავიდა, რომ სტივენ პიენაარის დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა და მასპინძლებს, ფაქტობრივად, საჩუქარი მიუძღვნა. აიაქსელთა მეორე გოლი 66-ე წუთზე ვეტერანმა იარი ლიტმანენმა გაიტანა, ხოლო საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე გაბრიელ ბატისტუტამ სხვაობა შეამცირა ანუ, როგორც ამბობენ, პრესტიჟის გოლი შეაგდო.

„აიაქსის" თავკაცმა რონალდ კუმანმა კი განაცხადა, რომ გამარჯვებით ძლიერ კმაყოფილია და მიუხედავად დაშავებულთა სიის შემაშფოთებელი სიგრძისა, რასაც ორი დისკვალიფიცირებულის გვარიც ამძიმებდა, სწამდა, რომ მისი გუნდი „რომას" დამარცხებას შეძლებდა.

„ოპტიმისტობა ჩემი პროფესიის ნაწილია, თუმცა დღეს ნანახმა ფეხბურთმა, ვფიქრობ, ხალხი გააოცა და დაიმედა. ყოველთვის მჯეროდა, რომ ამ შედეგის მიღწევა სრულიად შესაძლებელი იყო, ოღონდ, ვაღიარებ, ეს მაინც სიურპრიზი გახლდათ. დღეს, „რომასთან" შეხვედრაში გაცილებით ნაკლები პრობლემა შეგვექმნა, ვიდრე ადრე, როდესაც „ინტერს" ვეთამაშებოდით".

შემდეგ ჟურნალისტები იმით დაინტერესდნენ, რონალდ კუმანს დიდი ამბიციები გაუჩნდა თუ არა. მან უპასუხა: „ღევანდელივით გამარჯვება, ბუნებრივია, ყოველთვის გახარებს ადამიანს, თუმცა, ჩვენთვის ამ ეტაპზე ჰოლანდიის ჩემპიონობაზე მნიშვნელოვანი არაფერია და, ამიტომ, კვირას მოუთმენლად ველით".

შეგახსენებთ, რომ „აიაქსი" კვირას „ეინდჰოვენს" უნდა ეთამაშოს.

აღსანიშნავია, რომ რომაელთა წინააღმდეგ ამსტერდამელებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, როგორსაც საფეხბურთო ევროპა მათი შესრულებით ახლო წარსულში უცქერდა. აქ სტილზეა ლაპარაკი: ბურთის გათამაშება და ლამის გეომეტრიული გადაადგილებები, რამაც „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი ქომაგები მეტისმეტად გაახარა.

შეხვედრის პირველ წუთებში მჭიდრო ბრძოლა გაიმართა, მაგრამ მე-10 წუთზე, როგორც მოგახსენეთ, ანტონიოლის უხეშმა შეცდომამ ანგარიშის გახსნა გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულმა პიენაარმა გვარიანად დატანჯა „რომას" ფრანგი მცველი ჯონათან ძებინა.

„რომას" პირველი საგოლე მომენტი კი ბრაზილიელმა კაფუმ შექმნა, ოღონდ, მის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა. თავის მხრივ, 45-ე წუთზე „აიაქსსაც" შეეძლო მეორე გოლის გატანა, თუმცა, ამ ეპიზოდში, ანტონიოლიმ იყოჩაღა და ისევ და ისევ ზლატანს არ მისცა შეტევის ხეირიანად დაგვირგვინების საშუალება.

მეორე გოლი კი ასე გავიდა: ზლატანმა მოედანზე ახალშესულ იარი ლიტმანენს მიაწოდა პასი, ხოლო ფინელმა 20 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

მატჩის ბოლოს კი ლიტმანენის მსგავსად თამაშში გვიან ჩართულმა არგენტინელმა ბატისტუტამ კრისტიან პანუჩის ჩაკიდულ ბურთს დაჰკრა თავი და „რომას" გოლი გამოაღნო. უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის იტალიელებს ტემპი გვარიანად აწეული ჰქონდათ, მაგრამ დრო...

**ბაჩუნა ძიდია**

## არსენალი 0:0 ვალენსია

ლონდონი. „ჰაიბერი". 34 793 მაყურებელი. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

გაძევება: ანგულო (72)

სიმენი, კოული, სიგანი, კემპბელი, ლორენი, ლიუნგბერგი (ვილტორდი 78), ჟილბერტო სილვა, ვიეირა (პარლოუ 38), პირესი (კანუ 83), ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

პალოპი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, ბარახა (ფ. აურელიო 87), ალბელდა, ვისენტე (რუფეტე 68), აიმარი (მარჩენა 80), კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ჯარიმა: 11-20; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 10-2; თამაშგარე: 3-4

# იფ, რა ბიჭია პალოპი!

**„არსენალის"** ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა „ვალენსიას" სათადარიგო მეკარე ანდრეს პალოპი ნამატჩევს აქო და ადიდა. მოგეხსენებათ, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონებმა ლონდონში, „ჰაიბერზე" 0:0 ითამაშეს.

„ვალენსიას" მთავარი მეკარე ცნობილი სანტიაგო კანისარესი გახლავთ, მაგრამ მან 1 დეკემბერს, ესპანეთის პირველობაზე „ალავესთან" შეხვედრაში მუხლის მყესები დაიზიანა და გარდა იმისა, რომ იმ მატჩის მე-15 წუთზევე შესაცვლელი შეიქნა, როგორც ხედავთ, ვერც შემდეგ შეძლო მოედანზე გასვლა.

და, მართლაც, მისმა შემცვლელმა პალოპმა „არსენალთან" ბრწყინვალედ ითამაშა. სხვას რომ თავი დავანებოთ, შეხვედრის 90 წუთის (მსაჯის წამატებულებს თუ არ მივათვლით) გალევამდე 25 წამით ადრე ნვანკვო კანუს ისეთი ბურთი აუღო, რომ „არსენალმა" სიმწრით მუშტები დაიკბინა.

„მეკარე ჰყავდათ დიდებული, ძალიან ათლეტური, ძალიან სწრაფი რეაქციით — ბრძანა ვენგერმა — მან დიდი ქება დაიმსახურა".

აღსანიშნავია, რომ პალოპის გამოცდილ კოლეგას, ტრავმამოშუშებულ დევიდ სიმენს, საპირისპირო კართან, მთელი შეხვედრის განმავლობაში დიდი ჯაფა არ დასდგომია.

ვენგერს, მოწინააღმდეგის გოლკიპერის თამაშის გარდა, თავისი გუნდის თამაშიც ფრიად მოსწონებია. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ 72-ე წუთის შემდეგ „ვალენსია" მოედანზე კაცნაკლული დარჩა — მსაჯმა მიგელ ანხელ ანგულო გააძევა.

„დღეს ორ ძლიერ გუნდს შორის ბრწყინვალე თამაში გაიმართა - განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა — ბუნებრივია, რომ გამარჯვება გვეწადა და, რომ ვერ მოვიპოვეთ, გულიც დაგვწყდა, მაგრამ „აიაქსთან" ერთად ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ და, მწამს, შეჯიბრების შემდეგ ეტაპზე გავალთ. ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ფეხბურთელებმა ყველაფერი გაიღეს და დიდი შემართებითაც ითამაშეს. თუმცა, ხომ იცით, როგორ ხდება, საჩუქარს ვერავინ მიიღებს. ჩვენი ჯგუფი ძალიან თანაბარია და, შეიძლება ითქვას, ყოველი მატჩი გადამწყვეტია. სწორედ ასეთ დაძაბულობას ველი მთელი შეჯიბრების ბოლომდე". შემდეგ, სიტყვა პატრიკ ვიეირაზე ჩამოვარდა. მოგეხსენებათ, ეს ფრანგი ნახევარმცველი დაშავებული იყო და, წესითა და რიგით, იმ დღეს არც უნდა ეთამაშა, მაგრამ გუნდის ინტერესები საკუთარ ჯანმრთელობაზე მაღლა დააყენა და... 37-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

„დაველოდით და ვნახავთ, რას იტყვის ჩვენი ექიმების გუნდი, თუმცა, იმედი მაქვს დილისთვის საიმედო ინფორმაციას მივიღებ."

სიტყვა „ვალენსიას" თავკაცს, რაფაელ ბენიტესსაც ერგო. მან განაცხადა, რომ ვერაფრით მიხვდა, რატომ გააძევა დანიელმა კიმ მილტონ ნილსენმა ანგულო.

„ვიდეოჩანაწერი, მით უმეტეს, შენელებულად, არ გვინახავს — თქვა ბენიტესმა — რაც შეეხება ქულას, რომელიც ლონდონიდან მიგვაქვს, ის ჩემი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა გითხრათ, რომ ამ შეხვედრაში მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც, მაგრამ თუ ბოლოს შექმნილ პრობლემებს გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ფრე კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს".

დავძინოთ, რომ მსაჯმა ანგულო მარცხენა პასკალ სიგანისთვის მუცელში იდაყვის ჩარტყმისთვის გააძევა.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |





მიგელ ანხელ ანგულომ პასკალ სიგანს მუცელში იდაყვი ჩაარტყა და მოედანიც დაატოვებინეს



ვალენსიელთა მეკარე ანდრეს პალოპს ნამატჩევს ქების სიტყვები არ დაჰკლებია

# უეფას თასი 2002-2003. მეორე ეტაპი. პირველი მატჩები. დღეს

ფულემი (ინგლისი) – ჰერტა (გერმანია) (1:2)
ლიონი (საფრანგეთი) – დენიზლისფორი (თურქეთი) (0:0)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) – ლიბერეცი (ჩეხეთი) (2:2)
ოსერი (საფრანგეთი) – ბეტისი (ესპანეთი) (0:1)
ლივერპული (ინგლისი) – ვიტესი (ჰოლანდია) (1:0)
დინამო (კიევი, უკრაინა) – ბეშიქთაში (თურქეთი) (1:3)
ლიდსი (ინგლისი) – მალაგა (ესპანეთი) (0:0)
სლავია (ჩეხეთი) – პაოკ (საბერძნეთი) (0:1)
ლაციო (იტალია) – შტურმი (ავსტრია) (3:1)
შტუტგარტი (გერმანია) – ბრიუგე (ბელგია) (2:1)
ანდერლეხტი (ბელგია) – ბორდო (საფრანგეთი) (2:0)
სელტა (ესპანეთი) – სელტიკი (შოტლანდია) (0:1)
ლანსი (საფრანგეთი) – პორტუ (პორტუგალია) (0:3)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) – აეკ (საბერძნეთი) (0:4)
ბოავიშტა (პორტუგალია) – პსჟ (საფრანგეთი) (1:2)

# დაკურის დაფქვილი რიდსდეილს დაუმზარეს

## მცივა, დაიჩივლა კიევის გაზონმა

**უეფას თასზე** საზამთრო საცრის ერთი გაქნევაღა დარჩა. 32 მსურველიდან ოდენ თექვსმეტისთვის მოვა გაზაფხული.

გაცხრილვას არა მარტო გუნდები, ცალკეულ მწვრთნელებიც შეეწირონ. მათ შორის მთავარი კანდიდატი ორია: ტერი ვენეიბლზი და ლუის ფერნანდესი.

ტერი ვენეიბლზის „ლიდსი" პრემიერლიგის დაწყებიდან დღემდე ქვევით ეშვება და მე-16 ადგილსაც უწია. არადა, ორი წლის წინ „ლიდსმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიც კი დაამთავრა. დღეს გუნდს აშკარად უჭირს, ახალმა მწვრთნელმა ვერ დატოვა. მორიგი წაგორხილება ვენეიბლზს შეიძლება ადგილის დაკარგვად დაუჯდეს. მან ბრძანა: „ფეხბურთი ზოგჯერ თამაშია, ზოგჯერ ბრძოლა. ორივესთვის მზად უნდა ვიყოთ."

„ლიდსის" ფრანგი ლეგიონერის ოლივიე დაკურის აზრით, მწვრთნელი და ფეხბურთელები ერთურთს ვერ უგებენ: „ჩვენ, ფეხბურთელებს, არ გვესმის, რას მოითხოვს მწვრთნელი გუნდისგან, თუ არ გვჯერათ, პრემიერლიგის ცხრილს ჩახედეთ. მე ვერ ვხედავ მომავალს „ლიდსში". ან ის, ან მე — ჩამოფქვა დაკურმა მავან ფრანგ ჟურნალისტთან საუბრისას და დასძინა — ის, რაც ვთქვი, არ ნიშნავს იმას, რომ გუნდიდან წავალ, იმედი მაქვს, თვითონ ვენეიბლზი აბარგდება."

დაკურის ნათქვამი ინგლისურად თარგმნეს და „ლიდსის" თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილს მიართვეს. თავმჯდომარე ჯერ კითხულობს.

ლუის ფერნანდესის თავს პსჟ-ს გულშემატკივრები ითხოვენ. პარიზელებმა ბოლო 7 შეხვედრიდან 5 წააგეს და „ლიონის" დამარცხებითღა მოიოხეს გული.

პსჟ-მ „ბოავიშტას" შინ 2:1 მოუგო და ახლა მერვედფინალში გასაღწევად პორტუგალიაში გვარიანი ჯაჯგური მოუწევს — აბა, ერთბურთიანი ფორით მშვიდად ყოფნა როგორ შეიძლება. ფრანგებს ტრავმამოშუშებული კაპიტანი, მაურისიო პოჩეტინიო დაუბრუნდებათ, თუმცა დისკვალიფიკაციის გამო ფრედერიკ დეუ დააკლდებათ.

ბოლო ტურში „მარიტიმუს" მომგები „ბოავიშტა" მეტოქეს დიდ ბრძოლას ჰპირდება. პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მეგოლემ ლუიშ კლაუდიომ ბრძანა, ერთბურთიანი ფორის ამოქაჩვა არც ისე ძნელი საქმეა და ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებულიო.

„ვიტესის" წინააღმდეგ „ლივერპული" ალბათ უპრობლემოდ გაივლის. მერსისაიდელებს ემილ ჰესკი არ ეყოლებათ, რომლის მაგივრადაც ჟერარ ულიე ჩეხ მილან ბაროშს ათამაშებს. ძლივს გამოჯანმრთელებული პატრიკ ბერგერი ისევ საავადმყოფოს გზას დაადგა. მოშუშების შემდეგ ის მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა გუნდის შემადგენლობაში, მერე ისევ იგივე მუხლი ასტკივდა, თითქმის მთელი წელიწადი რომ მკურნალობდა და ახლა ამერიკაში გაემგზავრა იქაურ ექიმებთან. ბერგერი სამი თვით ჩამოშორდა „ლივერპულს".

თვენახევრის განმავლობაში სინიშა მიხაილოვიჩსაც იძულებითი დასვენება მოუწევს. მან ვარჯიშზე იტკინა ფეხი: „იმედი მაქვს, მალე მოვმჯობინდები და იმ დროისთვის „ლაციოს" ისევ იტალიის ჩემპიონატის ცხრილის თავში ვიხილავ" — ინატრა იუგოსლავიელმა.

„ლაციოს" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ შესაძლოა, დავით მუჯირის „შტურმთან" დღევანდელ მატჩში დიდკაცები დაასვენოს. მის გუნდს გრაცში ორბურთიანი სხვაობით აქვს მოგებული, მომავალ უქმეებზე კი „იუვენტუსთან" ჯახი ელის.

გლაზგოს „სელტიკმა" როგორც „ბლექბერნს", ისე „სელტასაც" პირველი მატჩი 1:0 მოუგო. გავიხსენოთ, რომ „სელტიკმა" „ბლექბერნს" სტუმრადაც სძლია, 2:0 და გლაზგოელთა კაპიტანი პოლ ლამბერტი ამჯერად ესპანეთშიც მოსაგებად იწევს: „1:0 მინიმალური სხვაობა კი არის, მაგრამ ამ შემთხვევაში კონტრშეტევებზე თამაშის საშუალება გვეძლევა. „სელტიკს" ეს კარგად გამოსდის, თუნდაც „ბლექბერნი" გაიხსენეთ."

შოტლანდიური კლუბის მენეჯერი მარტინ ონილი უეფას დისციპლინარებმა წინა ეტაპზე ნერვიული გამოხტომისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. წესით, ონილი ვიგოში ტრიბუნაზე უნდა მჯდარიყო, მაგრამ უეფელებმა დაინდეს და კუთვნილ ადგილზე დაჯდომის ნება მისცეს, რისთვისაც მწვრთნელისგან, ცხადია, მადლობა მიიღეს.

„ოსერი" ოლივიე კაპოს გარეშე დაუხვდება „ბეტისს", რომელსაც თავის მხრივ ნახევარმცველი სარანდონა ბენხამინი დააკლდება. მას ფეხზე ოპერაცია გაუკეთეს და ახალ წლამდე დაისვენებს.

ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგაში, „მილანთან" შეხვედრისას უკანალი ასტკივებია „ლანსის" სენეგალელ ლეგიონერ პაპე ბუბა დიოპს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. მან „პორტუს" წინააღმდეგ პორტუგალიაშიც ითამაშა. მერე, როცა გაურთულდა, გვიანღა იყო და ახლა საოპერაციო მაგიდას უმზადებენ.

„ლანსის" მეკარე გიიომ ვარმუზმა დასვენება ითხოვა. მიზეზი ის გახლავთ, რომ „პორტუსთან" ორი უხეში შეცდომა დაუშვა და თვითონვე დაისაჯა თავი.

„ლიონი" საიუბილეოდ ემზადება. ფრანგული კლუბისთვის „დენიზლისთან" შეხვედრა მეასე ევრომატჩი იქნება. საეჭვოა ბრაზილიელი კაპიტნის, სონი ანდერსონის თამაში.

თურქული კლუბი კი შინიდან ზარზეიმით გააცილეს. გუნდის პრეზიდენტი მუსტაფა ბაისანი ფეხბურთელებს, თუ ამ ეტაპს გაივლიან, ზღაპრულ ჯილდოს დაჰპირდა. ლიონში თამაშს თვით თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ჰალუკ ულუსოიც დაესწრება.

კიევში, სადაც „დინამო" „ბეშიქთაშს" დაუხვდება, საკმაოდ ცივა და მინდვრის გამათბობელი სისტემაც მწყობრიდან გამოვიდა. სტადიონის დირექტორმა სერგეი დემიდოვმა დაიფიცა, მატჩის დაწყებამდე ყველაფერი წესრიგში იქნებაო.

ესპანეთში შეკრებაზე მყოფ კიევის „დინამოს" რუმინელი მეგოლე ფლორიან ჩერნატი დაუშავდა. ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმამიღებულ ფეხბურთელს გერმანიაში საოპერაციოდ მიავლენენ.

28 მატჩია, „ბეშიქთაშს" რაგინდარა ტურნირზე არ წაუგია და ეგებ უკრაინელებმა მაინც შეძლონ ამ სერიის გაწყვეტა. თურქულ კლუბს მთავარი ფორვარდი, ილჰან მანსიზი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება, ოქტაი კი იმედიანადაა: „ბოლო რამდენიმე ტურში გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და ვფიქრობ, „დინამოს" გავლა არ უნდა გაგვიჭირდეს. „გალათასარაის" დამარცხებით ხასიათი კიდევ უფრო გამოგვიკეთდა, ამიტომ კიევშიც მოსაგებად მივემგზავრებით."

დასასრულს განვლილ წლებს გადავხედოთ და გავიხსენოთ, რომ ამჟამინდელი მეთექვსმეტედფინალისტებიდან მერვედფინალში გაუღწევიათ:

1999 წელს — „სლავიას", „სელტას", „ლიდსს" და „ლანსს";

2000 წელს — „პორტუს", აეკ-ს, „სელტას" და „ლივერპულს";

ხოლო შარშან დღევანდელთაგან მხოლოდ ჩეხურმა „ლიბერეცმა" იმარჯვა. მაშინ ჩვენთვის ნაცნობმა გუნდმა ესპანურ „მალიორკას" სძლია.

**გაგა ხუციშვილი**



ტერი ვენეიბლზს ფრანგულადაც უმუხთლეს



ვიგოელი გუსტავო ლოპესი „სელტიკის" ტრადიციის მოშლას ეცდება

# მუშაობამ შალკე მოკლა

## უეფას თასი 2002-2003
### 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი

შალკე (გერმანია) 1:4 ვისლა (პოლონეთი) (1:1)
0:1 ქურავსკი (39), 1:1 ჰაიტო (42), 1:2 უჯე (60), 1:3 ქურავსკი (84), 1:4 კ. კოსოვსკი (90)

**კრაკოვის** „ვისლამ" ილაჯგაწყვეტილი „შალკე" „აუფშალკეზე" დაამარცხა. წინა კვირას გერმანიის თასზე „ბაიერნთან" ასოცწუთიანმა ბრძოლამ და შაბათის ბუნდესლიგის მატჩმა „ვერდერთან", რურელთა საუეფასთასო შეხვედრაზე ცუდად იმოქმედა.

პოლონელებს 1978-79 წლებში უეფას თასის მეოთხედფინალში გაუღწევიათ, სადაც შვედურ „მალმიოსთან" დამარცხდნენ და ახლა ალმოსავლეთევროპელები კვლავაც ახლოს არიან, თავიანთი ოდინდელი მიღწევა გაიმეორონ.

39-ე წუთზე სტუმარმა ქურავსკიმ თორმეტი მეტრიდან გაუტანა „შალკეს" და მოედანზე სენსაციის სუნიც დატრიალდა, თუმც სტუმრებს ისევ თანამემამულემ, ტომაშ ჰაიტომ გაუთანაბრა სამიოდ წუთში.

შესვენებიდან ხუთ წუთში „ვისლას" ნიგერიელმა ნახევარმცველმა კალუ უჩემ საჯარიმო ჩაწოდებას თავი შეაგება და დამხვდურები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო — „შალკეს" ახლა უკვე ორი ბურთის გატანა სჭირდებოდა. პოდა, რა გასაკვირია, რომ გერმანელები შმაგად მიაწყდნენ მეტოქის კარს, თუმც სტუმრები ჭკვიანურად იცავდნენ თავს და ორგანიზებულად ახორციელებდნენ კონტრშეტევებს.

დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ერთ-ერთ ასეთ სწრაფშეტევას ქურავსკიმ კიდევ ერთი გოლი მოჰყვა, ხოლო ბოლო წუთზე კოსოვსკიმ მასპინძლებს მთლად სირცხვილი აჭამა — 1:4.

რა თქმა უნდა, დამწუხრებული იყო წაგებულთა დამრიგებელი ფრანკ ნოიბარტი: „გულსატკენი მარცხი ვიწვნიეთ, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ, ერთ კვირაში მესამე პრინციპულ მატჩს გადაღლილები შევხვდით."

თავისი გუნდის შთამბეჭდავი გამარჯვებით ხარობდა „ვისლას" მწვრთნელი ჰენრი კასპერჩაკი, ვინაც პოლონეთის ნაკრებს მეთაურობდა ბოლო მუნდიალზე: „ვიცოდით, რომ ძნელი მატჩი გველოდა და ამიტომ გუნდს ცხრა დღის განმავლობაში ჰოლანდიაში ვავარჯიშებდი, თანაც „შალკეს" გამულმებით ვაკვირდებოდი. ვიცოდი, მეტოქე გადაღლილი იქნებოდა და გუნდი საგანგებოდ შემუშავებული ტაქტიკით ვათამაშე. მიხარია, რომ მუშაობამ შედეგი გამოიღო."

**ზურაბ რუხაძვილი**



კრაკოველმა ქურავსკიმ გელზენკირხენელებს ხელები გააშლევინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპა 6 წლის მერე

## ფრიად საჩოთირო საქმე
## ნუ დააღებთ პირს
### არავინ არავის არაფერს მიართმევს



13 ქვეყანა განაჩენს ელის

**დღეს შევიტყობთ,** სად ჩატარდება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. ვინ ცდილობს მასპინძლობას? უნდა გითხრათ, რომ არცთუ ცოტა ქვეყანა, რომელთა შორის, ჭორების თანახმად, ყველაზე მეტი შანსი ავსტრიასა და შვეიცარიას აქვთ. დავაზუსტოთ: ავსტრია და შვეიცარია ერთად ლამობენ შეჯიბრების გაძღოლას.

ხსენებულის გარდა, უეფას კიდევ ექვსი განაცხადი უდევს რომელიღაცა მაგიდის უჯრაში. თან, დახეთ, რა საინტერესო განაცხადებია: საბერძნეთს და თურქეთს ერთად მონდომებიათ ევრო 2008-ის მასპინძლობა, ისევე, როგორც ბოსნიასა და ხორვატიას. ამ ორს საგანგებოდ იმიტომ გამოვყოფთ, რომ ფეხბურთის მიღმა, ისტორიულად, არც საბერძნეთსა და თურქეთს ეხატებათ ერთმანეთი გულზე და არც ყოფილი იუგოსლავიის ორ ქვეყანას.

კიდევ აღსანიშნავია შოტლანდიისა და ირლანდიის ერთობლივი განაცხადი. ამბობენ, დიდი ბრიტანეთის ამ ორ ნაწილს დღევანდელი გადაწყვეტილების დიდი იმედი აქვსო.

რაც შეეხებათ რუსეთსა და უნგრეთს, მათ მეწყვილის ძებნით თავი არ შეუწუხებიათ და საკუთარი თავის იმედად ბრძანდებიან, ხოლო ოთხ სკანდინავიურ სახელმწიფოს ეჭვი არ ეპარება, რომ ძალა ერთობაშია და მეშვიდე განაცხადიც სწორედ მათ ეკუთვნის.

„განაცხადების წარდგენაში ყველა გაიწაფა. დღეს ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას ესმის, რომ მისი იმიჯისა და ეკონომიკური ძლიერებისთვის დიდ სპორტულ შეჯიბრებათა მასპინძლობას საოცარი საქმის გაკეთება შეუძლია. ერთი სიტყვით, დღევანდელი მდგომარეობა 15-20 წლის წინანდელთან შედარებით დიდად განსხვავდება. ახლა, თითოეული კანდიდატი გაცილებით მეტ ზეწოლას გრძნობს და გამარჯვების სურვილიც განუზომლად მეტია. ასე რომ, ვილაცეებს აუცილებლად დასწყდებათ გული. ბევრმა კონკურენტებთან წაგება შეიძლება სირცხვილად მიიჩნიოს, მაგრამ ეს ხომ ევროპის ბოლო პირველობა არ არის. ის, ვინც დღეს ვერ გაიმარჯვებს, მიზანს მომავალში მიაღწევს" — განაცხადა უეფას აღმასრულებელმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ, პიერ ბენუამ კი ბრძანა, რომ საჩუქრად არავინ არავის არაფერს მიართმევს:

„რაც შეგვეძლო გავაკეთეთ, რათა მასპინძლობა ჩვენ გვერგოს, ამაზე მეტის გაკეთება კი შეუძლებელია. მაგრამ არის პრობლემაც. კერძოდ, არასდროს იცი, უეფას შენი განაცხადიდან ყველაზე მეტად რა აინტერესებს. ეს მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როდესაც გამარჯვებულს გამოაცხადებენ."

მართლაც, ყველას კარგად ახსოვს, როგორ დაალო მთელმა ევროპამ პირი, როდესაც უეფამ 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძლად პორტუგალია დაასახელა. ბენუა სწორედ ამას იხსენებს:

„ყველა ფიქრობდა, რომ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა და 1992 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 2004 წლის ევროპის პირველობას იმ წლებთან შედარებით კიდევ უფრო წინ წასულ ესპანეთს ანდობდნენ, მაგრამ უეფამ პორტუგალიის განვითარება ამჯობინა."

მაშ ასე, თუ უეფაში კვლავ შედარებით ჩამორჩენილთა დაწინაურებაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაშინ შვეიცარიას და ავსტრიას, როგორც განვითარებულ ქვეყნებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ. გამოდის, რომ ამ პრინციპის მიხედვით სხვებზე მეტი შანსი ბოსნია-ხორვატიას, უნგრეთსა და რუსეთს აქვთ.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. კერძოდ, პორტუგალია, როგორც შედარებით ჩამორჩენილი სახელმწიფო, ევრო 2004-სთვის შედარებით ჩამორჩენილი მეთოდებით და ტემპით ემზადება, რაც კაცმა არ იცის, როგორ აღიბეჭდა უეფას დიდმოხელეთა გონებაში. იქნებ, ამჯერად, მათ რისკსა და წვალებას გარანტირებული დალხენა ამჯობინონ და მაშინ, ყველაფერი ყირაზე დგება. ნუ დაგვავიწყდება, რომ 2000 წლის ევროპის პირველობა კეთილმოწყობილმა ბელგიამ და ჰოლანდიამ გამართეს.

და, ცხადია, დიდი მნიშვნელობა კენჭისყრის პროცედურას ექნება. ვინ უნდა აირჩიოს შვიდი ვარიანტიდან ერთი და როგორ?

სამართლიანობა იმით იქნება დაცული, რომ უეფას აღმასკომის წევრები, პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის ჩათვლით, პირველ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ. აბა, რა თქმა უნდა, რომ ვთქვათ, ბატონი იუჰანსონი ხმას სკანდინავიურ ოთხეულს მისცემდა, მაშინ როდესაც ამ განაცხადს თავისი თვალსაჩინო მინუსები აქვს. კერძოდ, ერთი — შვედეთმა ანუ პრეზიდენტის სამშობლომ, 1992 წელს უკვე უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს და მეორე — ოთხ ქვეყანას ერთად ერთი შეჯიბრებისთვის არსად და არასდროს უმასპინძლია, ანუ რა ხილია, კაცმა არ იცის. მეორე, შესარჩევი შეჯიბრების გარეშე ოთხივეს ხომ არ დაუშვებენ? გამოდის, რომ ყველაფერი მეტად უნდა გართულდეს. ვთქვათ, უნდა ჩატარდეს მთავარი შესარჩევი შეჯიბრებისგან დამოუკიდებელი მინი შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც ოთხი სკანდინავიური ქვეყნიდან ორს აირჩევს, დანარჩენ ორს კი საერთოდ ჩემპიონატს მიღმა დატოვებს. მერედა, იმ გარეთ დარჩენილი ორი ქვეყნის მოსახლეობას რაღად ენდომება შეჯიბრება, რომელშიც მისი გუნდი არ მიიღებს მონაწილეობას?

შოტლანდია-ირლანდიას ერთი მინუსი აქვს: ირლანდიამ სტადიონის მშენებლობა მომავალში უნდა დაიწყოს — თუ მათი განაცხადი გაიმარჯვებს იმ შემთხვევაში. სწორედ ამის გამო გაუჩნდა ევრო 96-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ინგლისელ გლენ კირტონს ეჭვი, რომ შოტლანდიას ერჩივნა მარტოს შეეტანა თავისი განაცხადი.

რუსეთი? რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც დღისით, მზისით, თეატრში ტერორისტთა რაზმი დაუბრკოლებლად შედის და შემდეგ, მათგან ხალხის დასახსნელად, 120 უბრალო ადამიანის მოწამვლა და მოკვლა ხდება საჭირო.

საბერძნეთსა და თურქეთს უეფას თასზე ამასწინათ მომხდარი ამბავი, ალბათ, ძალიან გაუფუჭებს საქმეს. კერძოდ, „ფენერბაჰჩესა" და „პანათინაიკოსის" შეხვედრის დროს თურქმა და ბერძენმა ქომაგებმა დიდი მასობრივი უწესრიგობა მოაწყვეს.

ერთი სიტყვით, დღეს ნიონში უეფას ფრიად საჩოთირო საქმე ელის. მას მერე, რაც პირველი კენჭისყრა შვიდი განაცხადიდან ხუთს ან ოთხს დაიწუნებს, ხელებს აღმასკომის წევრები დაიკაპიწებენ და...

**ბაჩუნა ძიძია**

# ავსტრია. შვეიცარია



„ერნსტ ჰაპელი" ფინალთა სტადიონია

## სტადიონები

### ავსტრია

**„ერნსტ ჰაპელი"**, ვენა (50 000). უმასპინძლებს გახსნის ცერემონიალს, ჯგუფის მატჩებს, მეოთხედფინალს, ნახევარფინალს და ფინალს.

**„ვეიდმანსდორფი"**, ფლაგენფურტი. რეკონსტრუქცია 2006 წელს დასრულდება. დაიტევს 40 000 მაყურებელს (ამჟამად 32 000-ს იტევს), უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებსა და მეოთხედფინალს.

**„ზალცბერშტადიონი"**, ზალცბურგი. რეკონსტრუქცია 2003 წელს დასრულდება და 32 700 მაყურებელს დაიტევს. უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებს.

**„ტიროლი შტადიონი"**, ინსბრუკი. იტევს 15 ათას მაყურებელს, თუმცა 2004 წლისთვის, რეკონსტრუქციის შემდეგ, 32 000-ს დაიტევს. უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებს.

### შვეიცარია

**„ციურიხი"**. კლუბ „ციურიხის" ახალი სტადიონის მშენებლობა 2006 წელს დასრულდება და 30 000 მაყურებელს დაიტევს. უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებს.

**„სენტ იაკობ პარკი"**, ბაზელი (33 000). უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებსა და მეოთხედფინალს.

**„ვანკდორფი"**, ბერნი. მშენებლობა 2004 წელს დასრულდება და 40 000 მაყურებელს დაიტევს. უმასპინძლებს ჯგუფის მატჩებს, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალს.

**„სტად დე ჟენევა"**, ჟენევა. ამ სტადიონის მშენებლობა 2003 წელს დასრულდება. ტევადობა 30 ათასი იქნება. უმასპინძლებს ჯგუფური ეტაპის მატჩებს.

## დანახარჯები

არც ერთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას და მთავრობას დანახარჯების ოდენობა არ განუცხადებია. სავარაუდოდ, მოსამზადებელ სამუშაოებში ორივე ქვეყანა ერთად 110 მილიონ ევრომდე დახარჯავს.

## საფეხბურთო ისტორია

### ავსტრია

პირველი საფეხბურთო ლიგა 1911 წელს დაარსდა და მასში მხოლოდ ვენური კლუბები თამაშობდნენ. 1918 წელს დაარსდა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაცია. საერთო ავსტრიული ლიგა კი, სადაც ვენისა და პროვინციების გუნდები ერთად თამაშობდნენ, მხოლოდ 1949 წელს ჩამოყალიბდა. დღესდღეობით ავსტრიაში 1 300 კლუბი და 120 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელია.

### შვეიცარია

ეროვნული ლიგა 1948 წელს შეიქმნა, შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის შექმნიდან სამი წლის შემდეგ. ქვეყანაში 1451 კლუბი და 89 ათასი ფეხბურთელია.

## ტიტულები

### ავსტრია

1934 და 1954 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ნახევარფინალისტია. 1936 წლის ოლიმპიადის ფინალისტი და 1912 და 1952 წლების ოლიმპიადების მეოთხედფინალისტი. 1960 წელს ავსტრიელებმა ევროპის პირველი ჩემპიონატის მეოთხედფინალსაც უწიეს.

### შვეიცარია

1934, 1938 და 1954 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მეოთხედფინალისტია. 1924 წლის ოლიმპიადის ფინალისტი. ევროპის ჩემპიონატზე ბოლოს 1996 წელს ითამაშა და ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა. მანამდე 1964 წლის ევროპის ჩემპიონატზეც შვეიცარიელები პირველივე წრეში გავარდნენ.

## კლუბები

ავსტრიული ბუნდესლიგა 10 კლუბისგან შედგება, შვეიცარიული ნაციონალლიგა კი 12 გუნდისგან. ავსტრიულისგან განსხვავებით შვეიცარიის მეორე დივიზიონი ნახევრადპროფესიულია.

## რა ტურნირებისთვის უმასპინძლიათ

ავსტრია და შვეიცარია რეგულარულად მასპინძლობენ შეჯიბრებებს ზამთრის სპორტის სახეობებში. შვეიცარია 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია. ამავე დროს შვეიცარია ფიფასა და უეფას სამოსახლოა. შვეიცარიაშივე აქვს შტაბბინა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც. წლეულს აქ ფეხბურთში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიც ჩატარდა.

ვენის „ერნსტ ჰაპელის" სტადიონს 1964, 1987, 1990 და 1995 წლებში ევროთასების ფინალებისთვის უმასპინძლია. ავსტრია სამთომოთხილამურეთა ტრასებითაც არის განთქმული.

## პოლიტიკური ვითარება

ავსტრიასა და შვეიცარიას შორის მჭიდრო მეგობრული და სავაჭრო ურთიერთობაა. ორივე ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ბრწყინვალე ინფრასტრუქტურაა.

ორივე მათგანს ნეიტრალიტეტი აქვს გამოცხადებული. ავსტრია ნატოსა და ევროკავშირში 1995 წელს გაწევრიანდა. თავისი მუდმივი ნეიტრალიტეტით ცნობილმა შვეიცარიამ კი 1992 წლის რეფერენდუმზე ევროკავშირის წევრობაზე უარი თქვა. შვეიცარია გაეროშიც მხოლოდ წლეულს გაწევრიანდა. ავსტრია 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას უნგრეთთან ერთად გეგმავდა. ამჯერად კი თანამასპინძლად მეზობელი შვეიცარია აირჩია.

# ევროპა 6 წლის მერე

## ირლანდია შოტლანდია

### სტადიონები

შოტლანდია

**„ჰემპდენ პარკი“**, გლაზგო. ტევადობა 52 045 მაყურებელი
**„სელტიკ პარკი“**, გლაზგო. ტევადობა 60 501 მაყურებელი
**„აიბროქსი“**, გლაზგო. ტევადობა 50 444 მაყურებელი
**„მურიფელდ სთედიუმი“**, ედინბურგი. ტევადობა 67 500 მაყურებელი

### სათადარიგო სტადიონები

**„დანდი სთედიუმი“**, დანდი. ტევადობა 31 400 მაყურებელი
**„აბერდინ სთედიუმი“**, აბერდინი. ტევადობა 31 400 მაყურებელი
**„ჰიბერნიან სთედიუმი“**, ედინბურგი. ტევადობა 34 880 მაყურებელი

ირლანდია

**„ლენსდაუნ როუდი“**, დუბლინი. ტევადობა 33 000 მაყურებელი
**„ფროკ პარკი“**, დუბლინი. ტევადობა 69 000 მაყურებელი

დუბლინშივე საგანგებოდ ევრო 2008-სთვის ახალი სტადიონის მშენებლობაც იგეგმება. სავარაუდოდ, ტევადობა 80 000 იქნება.

### დანახარჯები

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციას ჯერაც არ განუსაზღვრავს ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებელი ბიუჯეტი. ირლანდიის სპორტის მინისტრის თქმით, ამ საკითხის მოსაგვარებლად მთავრობა 50 მილიონ ევროს გაიღებს.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია კი მთავრობისგან 100 მილიონ ევროს მიიღებს. სქოთების ვარაუდით, ჩემპიონატი ქვეყნის ბიუჯეტს 700-800 მილიონ ევრო მოგებას მოუტანს.

### საფეხბურთო ისტორია

ირლანდია

ფეხბურთის თამაში აქ 1860-იანი წლებიდან დაიწყეს. თუმცა თანამედროვე ირლანდიური საფეხბურთო ლიგა მხოლოდ 1921 წელს დაარსდა. ეს ირლანდიის ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოხდა. სამხრეთ ირლანდიურმა კლუბებმა მანამდე არსებული ბელფასტური ლიგა დატოვეს და საკუთარი ჩემპიონატი შექმნეს.

საუკეთესო კლუბები ძირითადად დუბლინში სახლობენ. „შემროკ როვერსი“ „ბოჰემიანსი“ „შელბურნი“, „სენთ პატრიკ ათლეტიკი“.

შოტლანდია

თასის გათამაშება 1874 წელს დაიწყო. შოტლანდიურმა ლიგამ კი პირველი სეზონი 1890-91 წლებში ჩაატარა. უმაღლესი ლიგა 12 გუნდისგან შედგება, ლიგამ თანამედროვე სახე 25 წლის წინ მიიღო. ამჟამად სქოთთა 4 დივიზიონში 42 კლუბია გაერთიანებული.

### ტიტულები

ირლანდია 1998 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა 16-წლამდელთა შორის. იმავე წელს „სამყურებმა“ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიც მოიგეს.

შოტლანდიური „სელტიკი“ 1967 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელია. „რეინჯერსს“ კი 1972 წელს თასების მფლობელთა თასი აქვს მოგებული.

### რა ტურნირებისთვის უმასპინძლიათ

ირლანდიურ „ლენსდაუნ როუდს“ 1991 და 1999 წლებში მორაგბეთა მსოფლიოს თასისთვის უმასპინძლია. შოტლანდიაში (ედინბურგში) 1986 წელს ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები გაიმართა. შოტლანდიას რაგბის მსოფლიოს თასის მატჩებისთვისაც უმასპინძლია.

### პოლიტიკური ვითარება

ირლანდიასა და შოტლანდიას შორის ურთიერთობა მეგობრულია. ბევრი ირლანდიელი შოტლანდიურ „სელტიკს“ ქომაგობს, როგორც კათოლიკურ გუნდს.

17-ე საუკუნეში ინგლისელებმა ათასობით შოტლანდიელი პროტესტანტი გადაასახლეს ოლსტერში, სადაც სქოთებს ირლანდიელთა კუთვნილი მიწები დაურიგეს.

„სელტიკი“ ტრადიციულად კათოლიკეთა კლუბია, „რეინჯერსი“ კი პროტესტანტული და რელიგიური შუღლი სქოთური ჩემპიონატის უმთავრესი პრობლემაა.

რელიგიურმა და ეროვნულმა შუღლმა განსაკუთრებით მძიმე ფორმა ბრიტანეთის კუთვნილ ჩრდილოეთ ირლანდიაში მიიღო.



„ჰემპდენ პარკი“



„ლუჟნიკები“

## რუსეთი

### სტადიონები

**„ლუჟნიკები“**, მოსკოვი. ტევადობა 79 000 მაყურებელი
**„კიროვის სტადიონი“**, სანკტ პეტერბურგი. ტევადობა 40 000 მაყურებელი
**„როტორი“**, ვოლგოგრადი. ტევადობა 45 000 მაყურებელი
**„ლოკომოტივი“**, სარატოვი. ტევადობა 40 000 მაყურებელი
**„ცენტრალური“**, ყაზანი. ტევადობა 39 000 მაყურებელი
**„ყუბანი“**, კრასნოდარი. ტევადობა 39 000 მაყურებელი
**„მეტალურგი“**, სამარა. ტევადობა 37 000 მაყურებელი
**„როსტსელმაში“**, როსტოვი. ტევადობა 33 500 მაყურებელი

### სათადარიგო სტადიონი

**„ლოკომოტივი“**, მოსკოვი. ტევადობა 30 000 მაყურებელი

### დანახარჯები

რუსეთის მთავრობა 1,33 მილიარდი ევროს გამოყოფას გეგმავს. მისივე გათვლებით, ტურნირისგან მოგება ოდენ 70 მილიონი ევრო იქნება.

### საფეხბურთო ისტორია

რუსეთის ჩემპიონატმა სტარტი 1992 წლიდან აიღო. ქვეყანაში 154 პროფესიული კლუბია. ფეხბურთს კი 782 500 კაცი თამაშობს (3500 პროფესიონალი, 469 ათასი მოყვარული, 310 ათასი ახალგაზრდა ფეხბურთელი).

### ტიტულები
#### (საბჭოთა კავშირი, რუსეთი)

1960 წლის ევროპის ჩემპიონი. 1956, 1988 წლების ოლიმპიური ჩემპიონი. 1964, 1972, 1988 წლებში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი. 1977 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 20-წლამდელთა შორის. 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 17-წლამდელებში და 1990 წლის ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონი.

### რა ტურნირებისთვის უმასპინძლიათ

1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს ჩემპიონატები ჰოკეიში (მათგან ბოლო 2000 წელს პეტერბურგში ჩატარდა). 2002 წელს მოსკოვში მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. საფეხბურთო ტურნირებიდან საბჭოთა კავშირმა 1985 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა.

### პოლიტიკური ვითარება

გახშირებულმა ტერორისტულმა აქტებმა რუსეთში მორიგი ანტიჩეჩნური კამპანია გააღვივა. რუსეთის უმთავრესი პრობლემა ჩეჩნეთის დაუმთავრებელი ომია.

ქვეყანაში არასტაბილურ სიტუაციას დაძაბული კრიმინოგენური მდგომარეობაც ქმნის.

## ნორვეგია, დანია, შვედეთი, ფინეთი

### სტადიონები

შვედეთი

**„ულევი“**, გიოტებორგი. 60 650 მაყურებელი
**„რასუნდა“**, სტოკჰოლმი. 41 530 მაყურებელი

დანია

**„პარკენი“**, კოპენჰაგენი. 41 781 მაყურებელი
**„ბრონდბიუ“**, კოპენჰაგენი. 30, 920 მაყურებელი

ნორვეგია

**„ულევალი“**, ოსლო. 31 240 მაყურებელი
**„ლერკენდალი“**, ტრონჰეიმი. 30 849 მაყურებელი

ფინეთი

**„ოლიმპიური“**, ჰელსინკი. 42 500 მაყურებელი
**„რატინა“**, ტამპერე. 32 000 მაყურებელი

### დანახარჯები

საერთო დანახარჯები 140 მილიონი ევროს ფარგლებშია გათვლილი. ნორდული ქვეყნების ფინანსთა სამინისტროების გამოთვლებით, ევრო 2008 ოთხეულს 240 მილიონ ევროს მოუტანს.

### საფეხბურთო ისტორია

დანიური და ფინური საფეხბურთო ლიგები 1913 წელს დაარსდა. შვედეთისა 1924 წელს, ნორვეგიისა კი 1930-ში. ამ უკანასკნელს ორი ლიგა ჰქონდა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის. ამ ლიგების გაერთიანება კი 1972 წელს მოხდა.

საუკეთესო კლუბებად შვედეთში „გიოტებორგი“, სტოკჰოლმის აიკ-ი და „მალმიო“ ითვლებიან. დანიაში „ბრონდბიუ“, „კოპენჰაგენი“, „ოლბორგი“ და „მიდტიულანდი“. ნორვეგიაში, „რუსენბორგი“, „ვიკინგი“, „ბრანი“ და „ოდ გრენლანდი“. ფინეთში ჰელსინკის ჰიკ-ი, „მიუპა“, „ალიანსი“ და „ტამპერე იუნაიტედი“.

### ტიტულები

შვედეთი

1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტია. 1950 და 1954 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლის მფლობელი. 1948 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე შვედებს სხვა სკანდინაველებთან შედარებით მეტჯერ, ათჯერ უთამაშიათ, 1934, 1938, 1950, 1958, 1970, 1974, 1978, 1990, 1994, 2002 წლებში.

დანია

მას შემდეგ, რაც მოგენსენმა უეფას პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის ფაქსიმილიანი ატესტატები ჩამოურიგა მსმენელებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ გერა ხეცურიანმა უმაღლესლიგელებს ლიცენზირების სისტემის ქართული სახელმძღვანელო გადასცა, „დინამოს" მენეჯერი და ლიცენზირების კომიტეტის თავკაცი, ვალერი ჩოლარიას ვაჟი, ნოდარიც გააცნო და „ქართულად ნათარგმნების" განხილვა შესთავაზა.

პროგრეს-კურსის ერთ-ერთ პირველ დღეს ასევე დიდი დრო დაეთმო პროფესიული ლიგის შექმნის აქტუალობის საკითხს და ითქვა, რომ ასეთ შემთხვევაში მოგების გადანაწილება დაბალლიგელებზეც უნდა მოხდეს.

ზიარჭურჭლისვე პრინციპს მიმართავს უეფაც, რომელიც სფფ-ის თხოვნით დასავლეთევროპელთა გამოცდილებას გვიზიარებს. როგორ შეისრუტავენ 62 წლის დანიელისგან ქართველები ცოდნას, ეს დღეს არა და, ხვალ მათ მუშაობაში უნდა გამოჩნდეს. თუ მათი განწყობა უწინდელი იქნა, ეგ ხომ ჩვენც ვიცოდით, ერთადერთი, ფული გვაკლიაო, ევროპულ პრინციპებს, რომელზე გადასვლაც ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს, გზა კიდევ კარგა ხნით დაეხშობა. ეს კი ლიცენზირების ახალ სისტემას ქართულ ქაღალდზე, და ჩვენს კლუბებს ევროთასებს მიღმა დატოვებს.

**მახტანგ მზიძაძე**



გაგიკო ქათიაშვილის ფოტო

ტორბენ მოგენსენი სერტიფიკატს გადასცემს საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" მენეჯერს, ქართლოს ჰუმბურიძეს

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია 13 დეკემბერს 12 საათზე სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ატარებს რეგიონალური ლიგის აღმოსავლეთ ზონის I წრის, აგრეთვე, გ. ჩოხელის, ს. მეტრეველის, მ. მესხის, ვ. დარასელიას სახელობის თასების გათამაშებების შემაჯამებელ თათბირს მონაწილე გუნდების პრეზიდენტების, მთავარი მწვრთნელების, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების დირექტორების მონაწილეობით.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა. პული. სნუკერი
აქსესუარები Zeus
- ქია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის ნათურა 181 GEL
- ქიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- [illegible] ქიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.2 GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას.
კონსულტაცია. გარანტია. ფასდაკლება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



რატი და რატის ძე თემური

დაახლოებით ორწლინახევრის წინ რატი ალექსიძემ აქაურობა, როგორც ქართველი სპეციალისტთა გამოკითხვით ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა, ისე დატოვა და ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა...

ახლა კი რატი 24 წლისაა და კვლავაც დინამოელია – ორწლინახევრიანი ამბავი არავის ახსოვს, ალექსიძემ უკვე დაგვანახა, რომ „დინამოსთვის" კვლავაც დიდი ძალაა და მეტიც შეუძლია.

მართლაც, მისებრ აგრესიული, ღონიერი და თავით კარგად მოთამაშე ფორვარდი საქართველოში, ფაქტობრივად, არც მოიძებნება – და „დინამოში" დაბრუნებით ალექსიძეს მორიგი შესაძლებლობა მიეცა, ერთხელაც წარმოაჩინოს თავი ძალიან საინტერესო მოთამაშედ

# აფეთქება გაზაფხულზე და უეჭველი დინამო

## ალექსიძის აბსოლუტური სურვილი

**— თითქმის ორი თვეა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდი. როგორ შეადარებდი მას იმასთან, რაც შენი „ჩელსიში" წასვლის დროს იყო?**

— შთაბეჭდილება ისეთი მრჩება, რომ ჩვენი ჩემპიონატის დონემ მოიმატა. უკვე ბევრმა გუნდმა წამოყო თავი, რომლებთანაც რთული და დაძაბული თამაშები გვიწევს — წინასწარ ველარ იტყვი, რომ ესა თუ ის გუნდი მეტოქეს ნაღდად მოუგებს. ჩემი „ჩელსიში" წასვლამდე კი სხვანაირად იყო, „დინამო" იოლად ამარცხებდა მეტოქეებს.

**— ლონდონში ერთ-ერთ პრესტიჟულ უბან კენსინგტონ-ჩელსში ცხოვრობდი და თბილისში დაბრუნებული როგორ ეგუები აქაურობას?**

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სხვაობაა, თანაც ლონდონურ ცხოვრებას ძალიან შევეგუე და აქ მართლა მიჭირს ყოფნა, მით უმეტეს ახლა, ზამთარში — კინაღამ გავგიჟდი. მაგრამ მე ხომ ახლა სახლში, ჩემებთან ერთად ვარ.

**— „დინამოში" დაბრუნება ჯერ კიდევ შარშან შემოგთავაზეს, თუმც ფეხს ითრევდი...**

— იმიტომ, რომ სულ სხვა გეგმები მქონდა, ევროპაში მსურდა თამაში და ამის შანსიც იყო, მაგრამ ბოლოს მაინც „დინამოში" აღმოვჩნდი — ვნახე გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელი, გავეცანი სიტუაციას და გადაწყვეტილებაც მივიღე — თანაც ორწელიწადნახევარი ფაქტობრივად ისე გავიდა, რომ სრულად ვერ ვიხარჯებოდი, ახლა კი სულ ვარჯიში და თამაში მიწევს და მეც უფრო კონცენტრირებული ვარ.

**— თვალი ისევ ევროპისკენ გიჭირავს? „დინამოში" დიდი ხნით არ დარჩები?**

— ყოველ შემთხვევაში, გაისად რომ ევროტურნირები დაიწყება, აუცილებლად „დინამოში" ვიქნები და ამის დიდი სურვილიც მაქვს.

**— საუკეთესო ფორმაში ჯერაც არ ხარ და ივო შუშაკმაც თქვა, რატის აფეთქებას გაზაფხულზე ველიო...**



რატი ალექსიძე და მისი მეუღლე ანი რეხვიაშვილი

— თქმა არ უნდა, შეკრების შემდეგ უფრო მაგარ ფორმაში ვიქნები და მეც ძალიან მინდა, რომ გაზაფხულისთვის უფრო ძლიერად ვითამაშო — რასაც ძალიან მოვინდომებ, გამომდის ხოლმე.

**— ინგლისის რეზერვისტთა ლიგაში საკმაოდ ბევრი მატჩი ჩაატარე და რა პოზიციაზე გიწევდა იქ თამაში?**

— ძირითადად თავდამსხმელად, თუმც ხანდახან მარცხენა თუ მარჯვენა ფლანგზე მათამაშებდნენ, საყრდენ ნახევარმცველადაც კი — ვფიქრობ, ჩემთვის კარგი იყო, სხვადასხვა პოზიციაზე რომ მოვსინჯე ძალა, მაგრამ, ცხადია, ყველაფერს თავდასხმაში თამაში მირჩევნია.

**— ინგლისის რეზერვისტთა ლიგას თუ შეადარებ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს?**

— იქაური რეზერვისტთა ლიგა აქაურ ჩემპიონატს ჯობია დონით. იქ ხომ ის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც პრემიერლიგის გუნდების ძირითადში ვერ ხვდებიან.

**— დინამოელების გარდა ჩვენს ჩემპიონატში თუ ხედავ საინტერესო ფეხბურთელებს?**

— აქ საკმაოდ ბევრი საინტერესო და პერსპექტიული ფეხბურთელია, თუნდაც ასათიანი, დიდავა, ადამია... თუმც მათ სრულად ჩამოთვლას არ შევუდგები.

**— „დინამოს" თავდასხმაში მართლაც უჭირდა და შენი გამობრუნებით ეს პრობლემა პრინციპში მოაგვარა. ამის გამო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობ?**

— პასუხისმგებლობას ყოველთვის და ყველა გუნდში ვგრძნობდი, ახლა კი მართლაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია — გუნდი, ბიჭები ყველაფერში ხელს მიწყობენ და მეც ნელნელა უკეთ ავთამაშდები — არაფრის არ მეშინია, საქმეს თავს გავართმევ.

**— ანუ „დინამო" საშწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონი გახდება?**

— ჩემპიონები უეჭველად ჩვენ გავხდებით — გაისად „დინამო" ისევ „დინამო" იქნება. ისიც უნდა ვთქვა, რომ „ჩელსიში" წასვლამდე „დინამოს" თამაშებზე ძალიან ცოტა გულშემატკივარი დადიოდა, ახლა კი უფრო მეტი ხალხი დადის, ფანებიც გვყავს და ბავშვებიც დადიან თამაშებზე — ძალიან მიხარია, რომ ამ მხრივ სიტუაცია უმჯობესდება.

**— ეროვნულ ნაკრებში შენს პერსპექტივას როგორ უყურებ? იქ ხომ თავდასხმაში ძალიან დიდი კონკურენციაა — შოთა არველაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე...**

— როცა ნაკრებში ასეთი დონის ფორვარდები არიან, ძნელია იქ ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ჩემსას ვეცდები — საკუთარი თავის იმედი მაქვს და მინდა, რომ აბსოლუტურად ყველას ვაჯობო.

**დავით თავართქილაძე**



გაგიკო ქათიაშვილის ფოტო

რატი ალექსიძეს (№27) „დინამოს" ჩემპიონობა არ ეეჭვება

# იმედაძე რუსეთს გეგმავს

## ოსეთს არ გამორიცხავს



ჯერაც გაურკვეველ მდგომარეობაშია ახალგაზრდა ქუთაისელი ფეხბურთელი გიორგი იმედაძე. ქუთაისის „ტორპედოდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ შარშან გადაბარგებული ოსურ კლუბს თავიდან კი შეეწყო და ძირითად შემადგენლობაშიც მოიკიდა ფეხი, მაგრამ მერე საქმეები აერია და მას შემდეგ უთამაშებელია.

„ალანიამ“ ჩვენებური ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ ახალი კლუბი დღემდე არ გამოჩენილა და გიორგიც მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშით ცდილობდა ფორმის შენარჩუნებას. ამასობაში დრო გადიოდა და „ალანია“ სულაც არ იბერტყავდა ყურს კლუბის მწვრთნელებთან ნაჩხუბარი ნიჭიერი ქართველი ფორვარდის „შემორიგებაზე“.

მერე გიორგი იმედაძის დაბრუნება ქუთაისის „ტორპედომ“ მოინდომა და თითქოს გვირაბის ბოლოს სინათლის სხივიც აკიაფდა. ქუთათურებმა ვლადიკავკაზის „ალანიასაც“ მიმართეს ამის თაობაზე და ოსთა დადებით პასუხს რუსეთის საფეხბურთო კავშირის „დახმარებით“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ელოდნენ, თუმცა—

მანამდე რიონისპირელებმა გიორგი იმედაძე საესენგეო განაცხადშიც დაიგულეს და მის ოფიციალურად შემატებას სწორედ მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ აპირებდნენ. „ალანია“ კი რატომღაც ჯიუტად არ თმობდა ქართველს.

ამასობაში ვლადიკავკაზელთა სიამაყეს ქართველი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ჩაუდგა სათავეში. ეს კი შესაძლოა, სწორედ იმედაძის შანსი იყოს.

— „ტორპედოსთან“ ერთად კი ვვარჯიშობ, მაგრამ რა როგორ იქნება, ჯერაც არ ვიცი. ალექსანდრ შტელინის მეთვალყურეობით ვარჯიში სათამაშო ფორმის შენარჩუნებაში მეხმარება. „ტორპედოში“ დარჩენაზე კი ვერაფერს გეტყვით. არა მგონია, ასე მოხდეს. ვფიქრობ, ამის შანსი ძალიან მცირეა — გვითხრა გუშინ გიორგი იმედაძემ.

„ტორპედოს“ მენეჯერმა ვლადიმერ პანოვმა კი თქვა „ჩვენ „ალანიას“ მივმართეთ იმედაძის თაობაზე და პასუხს ფედერაციაში ველოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი ვერაფერი მივიღეთ. ასე რომ, ეს საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია“.

ბოლოს კი ისევ გიორგი იმედაძეს მოვუსმინოთ: „რაღაც ვარიანტები მაქვს და იმედია, რომელიმე გამოვა. წინასწარ რაიმეს თქმა არ მსურს. რამდენიმე რუსული გუნდია ჩემით დაინტერესებული და ვნახოთ, რა გამოვა. არ არის გამორიცხული, „ალანიაშიც“ დავბრუნდე. ამის შესახებ ალბათ ვლადიმერ გუცაევთან შეხვედრის შემდეგ მეცოდინება ზუსტი პასუხი“.

**ქახა ფალამბერიძე**

*ასეც ხდება — უამინდობამ შეიძლება სალიგო „ბარსელონა“ — „ნიუკასლი“ გადადოს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატს ვერაფერი დააკლოს. თოვლი და ყინული აკლდა ჩემპიონატივით ღირსებაშელახულ ქართულ მოედნებს? ბუნებამაც უგანა ამ ნაცოდვილარ ქართულ ფეხბურთს, მაგრამ მიუხედავად ლიხს აქეთ-იქეთური უამინდობისა, ფედერაციამ ტურის სრულად ჩატარება ბრძანა და ვეჭვობთ, მიზეზი მარტო სათოვლად გახაზირებული წითელი ბურთების გამომზეურება იყოს. წითელი ბურთები გამზადებული გვაქვს და ტურის სრულიად ჩატარებას რამ უნდა შეუშალოს ხელიო, გვითხრეს ფედერაციაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილება გასათვალისწინებელ-პატივსაცემია, გუნდების მდგომარეობაც ვიკითხოთ*

# ფედერაციას წითელი ბურთი უხარია

## ჩვენ არ გადავდებთ, თქვენ თავი გადადეთ

**ბათუმში** გუშინ ჩასულ „ლოკომოტივს“ საფეხბურთო თვალსაზრისით ამაზრზენი სიტუაცია დახვდა. ქალაქი და სტადიონი თოვლ-ჭყაპს მიაქვს, „საშინელი უამინდობაა, ქალაქი დატბორილია, ახლა წვიმა თოვლმა შეცვალა და ფაქტობრივად შეუძლებელია ასეთ პირობებში თამაში, ალბათ გადაიდება მატჩი“ — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას ბათუმში ჩასულმა რკინიგზელთა გუნდის მენეჯერმა ლევან ყოფიანმა. მოკლედ, ისეთი სიტუაციაა, წითელი ბურთი რომ ვერაფერს უშველის, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც საამატჩოდ შეგულებულ ინსპექტორ მერაბ ჭელიძეზეა. ისე, ისიც საკითხავია, ასეთ პირობებში რამდენად გამოავლენს სრულად თავის შესაძლებლობებს საჩემპიონოდ შემართული „ლოკომოტივი“, ანაც რჩეულთა შორის დასარჩენად მებრძოლი „ბათუმი“.

რკინიგზელებმა ზაზა ჯანაშიას გარდა ყველა ჩაიყვანეს ზღვისპირეთში. როგორც ჩანს, ცაკარიასსა და ჯანაშიას შორის სრულ თანხმობამდე ჯერაც შორია. პერუელმა მორიგი სანქცია გამოუტანა ჭირვეულ მეგოლეს. უვარჯიშებელი და სათამაშოდ მოუმზადებელია — აი, მიზეზი, რომელმაც ჯანაშია თბილისში დატოვა.

გუშინ დილით გორში გაემგზავრნენ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი და გუნდის გენერალური დირექტორი გია ფირცხალავა. ვიზიტი შუშაკის სურვილით შედგა და ცენტრალური სტადიონისთვის თვალის შევლებას ისახავდა მიზნად. შუშაკი უკმაყოფილო დაბრუნდა თბილისში, რაკილა გადათეთრებულმა გორულმა სარბიელმა საფიქრალი მოუმატა. ქართლელები ხორვატს დაჰპირდნენ, მატჩის დაწყებამდე მოედანს გაყინული თოვლისგან გავათავისუფლებთო, მაგრა ღმერთმა იცის, შეასრულებენ თუ არა დანაპირებს.

ასე თუ ისე, წითელი ბურთები საგორედაც გამზადებულია, შუშაკი კი მოედნის უვარგისობასთან ერთად „დილას“ ბოლოდროინდელ აღმასვლაზეც ალაპარაკდა, დიდ ბრძოლას გაგვიმართავს მეტოქე, მაგრამ ჩვენ ჩვენი ამოცანის შესრულება უნდა შევძლოთო.

საგანგებოდ ემზადება კოლხთა სამასპინძლოდ „ვიტ ჯორჯია“. ჯანი კარნევალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დღევანდელ მატჩს და ამიტომაც იყო რუსთავში გამარჯვებით გახარებულ გუნდს სულის მოთქმა რომ არ აცალა და შეკრებაზე გადაიყვანა. კარნევალიმ 21 კაცი იახლა საწვრთნელად და უეჭველად მოსაგებად შემართულნი გავლენ ვეტერინარები ფოთელთა წინააღმდეგ. „ვიტ ჯორჯიას“ ტრავმირებული სერგო ჭურაძე არ ეყოლება. იგი რუსთავში „გორდასთან“ შეხვედრისას დაშავდა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დისკვალიფიკაციის ვადა ჯერაც არ გასვლია მირზა მერლანს, გამოდის, რომ მეკარის პრობლემა აქვს იტალიელის გუნდს, მაგრამ ვეტერინარებს სათადარიგო დავით მამარდაშვილის ეიმედებათ. კარნევალიმ მეორე მეკარედ ახალგაზრდა მიხეილ მუჯრიშვილი იახლა, რომელიც 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატიცაა და შესაძლოა, დღეს თავის გამოჩენის შანსიც მისცენ.

მე-14 ეროვნული ჩემპიონატის ჯერჯერობით რეკორდსმენ — „მეტალურგისთვის“ 8:1-ით მომგებ კოლხებს კი დასაკარგი არაფერი აქვთ, რაკილა საექვსეულო ადგილი დაიბევეს და მეტოქისგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე გავლენ სათამაშოდ. „ვიტ ჯორჯიას“ მობილიზაციის მიზეზი კი ადვილი ასახსნელია. გამარჯვების შემთხვევაში გუნდს 49 ქულა უგროვდება, რაც განახევრებისას სამეორეეტაპოდ ნახევარ ქულას მატებს ვეტერინარებს.

„სიონი“ გიორგი ქორიძის გარეშე ჩავა ავჭალაში „მერანთან“ სათამაშოდ. თბილისელი შემტევი ბოლნისელებმა გუნდიდან დაითხოვეს. მიზეზი წინა ტურში ქორიძის მიერ „ტორპედოსთან“ გაცუდებული პენალტი იყო. შეცვლაზე შესულმა შემტევმა მატჩის ბოლო წუთზე გაბისკირიას არ დაანება დარტყმა, თავად ითავა თერთმეტმეტრიანის შესრულება და ალბათ ცხოვრებაში ყველაზე კურიოზულ სიტუაციაშიც ჩავარდა.

„სიონის“ ხელმძღვანელობამ ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება და ქორიძეც ჯერჯერობით უგუნდოდ დარჩა.

წარმატების მცირე შანსი აქვს „გორდას“ „ტორპედოსთან“. რუსთაველთავის წარმატებად ქულის აღებას ვგულისხმობთ. რა გასაკვირია, რომ ჩემპიონი ნაკლებ პრობლემებს შეიქმნის ერთ-ერთ აუტსაიდერთან საშინაო მატჩში.

კონკურენტები ითამაშებენ თერჯოლაში. ზესტაფონის „მეტალურგში“ ყველაფერი ძველებურადაა. გუნდი ისევ უპატრონო და უსახსროა, „მილანში“ კი ძირეულ ცვლილებებს მარტიდან უნდა ველოდოთ. ერთი რამ ცხადია, ხვალინდელი მატჩი მთავარი მწვთნელის რანგში ბოლო იქნება ალიოშა არევაძისთვის — შედეგებით უკმაყოფილო „მილანის“ ხელმძღვანელებს უკვე დაწყებული აქვთ სამეორეეტაპოდ გუნდის მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატებთან მოლაპარაკებები.

**ბაატა ძგანტალიანი**

საქართველოს 14 ჩემპიონატი
პირველი ლიგა ეტაპი
22 ტური

თბილისი. შევარდენი. 12 დეკემბერი. 14 საათი

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ჯ. გაბრიაძე (ქუთაისი), ო. ხეცაძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. შილჩენკო

თერჯოლა. ცენტრალური. 12 დეკემბერი. 14 საათი

**მეტალურგი — მილანი**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ჯ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

გორი. ცენტრალური. 12 დეკემბერი. 14 საათი

**დილა — დინამო**

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ბათუმი. დინამო. 12 დეკემბერი. 14 საათი

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. სინათლე. 12 დეკემბერი. 14 საათი

**მერანი — სიონი**

მსაჯები: ა. მუშკუდიანი; ზ. ჯღარკავა (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მაღალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ქუთაისი. ტორპედო. 12 დეკემბერი. 14 საათი

**ტორპედო — გორდა**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა, ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი



ჯანი კარნევალიმ საყოლხეთოდ მობილიზაცია გამოაცხადა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 17 | 2 | 2 | 47:8 | 53 |
| ტორპედო | 21 | 15 | 4 | 2 | 44:12 | 49 |
| ლოკომოტივი | 21 | 15 | 2 | 4 | 34:10 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 15 | 1 | 5 | 38:15 | 46 |
| სიონი | 21 | 9 | 3 | 9 | 24:24 | 30 |
| კოლხეთი | 21 | 9 | 3 | 9 | 28:31 | 30 |
| დილა | 21 | 6 | 3 | 12 | 17:26 | 21 |
| ბათუმი | 21 | 5 | 5 | 11 | 16:26 | 20 |
| მერანი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:35 | 20 |
| მეტალურგი | 21 | 5 | 1 | 15 | 12:50 | 16 |
| გორდა | 21 | 4 | 1 | 16 | 19:39 | 13 |
| მილანი | 21 | 3 | 4 | 14 | 11:43 | 13 |

პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება
მეექვსე ტურში „მეტალურგს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთორმეტე ტურში „მერანს“ „გორდასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს“ „ტორპედოსთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 15 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 13 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - დარასელია | დინამო |
| 8 - შაშგულიძე | სიონი |
| ქოჩქაძე | მერანი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |



საპირველწრეო „დინამო“ — „დილა“: დარში მასპინძლებმა 4:0 გაიმარჯვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბალანური ისტორია

## რა ფლორიდელების საქმეა დათვზე ნადირობა?!



ფილ ჯექსონი შაქს ბავშვივით ტუქსავს, მაგრამ ამით „ლეიკერსს" რა ხეირი?

10 დეკემბერი

**მაიამი 96:107 მემფისი**

**მაიამი:** კარტერი (9), ჯონსი (33), კ. ბატლერი (8), ალენი (8), გრანტი (7 ქულა, 15 მოხსნა); მაუსი (15), ჯეიმსი (9), **სტეფანია** (12 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა), ბესტი (2), ელისი

**მემფისი:** ნაითი (7 ქულა, 14 პასი), პერსონი (24), გუდენი (25), გასოლი (24), რაიტი (15); გირიჩეკი (5), სვიფტი (4), უოტსონი (3), ბატისტი

**ჰიუსტონი 103:96 საკრამენტო**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (32), მინგი (17 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება)

**საკრამენტო:** ვებერი (30 ქულა, 11 მოხსნა), ჯექსონი (27)

**ვაშინგტონი 79:98 პორტლენდი**

**ვაშინგტონი:** მიუზი (17), ჯორდანი (14), სტეკჰაუზი (14)

**პორტლენდი:** პიპენი (14), ანდერსონი (14)

**გოლდენ სტეიტი 106:102 ლეიკერსი**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (26), არენასი (25), ჯემისონი (17)

**ლეიკერსი:** ონილი (36), ბრაიანტი (19 ქულა, 14 პასი)

**ჩიკაგო 107:87 ორლანდო**

**ჩიკაგო:** როუზი (28), მარშალი (15), ფიზერი (15)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (26 ქულა, 10 მოხსნა), გარიტი (17), მილერი (16)

**ნიუ იორკი 97:80 სიეტლი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (25), ტომასი (22)

**სიეტლი:** პეიტონი (20), რადმანოვიჩი (17)

**დალასი 122:95 კლიპერსი**

**დალასი:** ფინლი (24), ვან ექსელი (24), ნეში (17)

**კლიპერსი:** ბრენდი (20 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (16)

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი ჰითი" ამ კვირადღეს უკმაყოფილო დაბრუნდა შინ დასავლური ტურნედან. წყნარი ოკეანის სანაპირომოვლილმა ფლორიდაში ერთი გამარჯვება და სამი მარცხი ჩაიტანა. ამ შენაძენით პატ რაილის ბიჭები, ბუნებრივია, კმაყოფილები არ იყვნენ, მაგრამ გუნებას ის უკეთებდათ, რომ ორი დღე ისვენებდნენ და მომდევნო მეტოქედაც უფხო გუნდი ჰყავდათ. ფიქრობდნენ, მემფისელ „დათვებს" დავხოცავთ და მათი ხორცით ამოვივსებთ მუცლებსო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. დათვი რომ გაატყავო, მისი მოკვლა უნდა შეგეძლოს. დათვი კი მტაცებელი ცხოველია და თუმც მემფისური ოჯახი წლეულს შიმშილისგან დაოსებულა, მაინც გაიქნია ტორი.

მთლიანობაში მემფისელებს „მაიამიზე" უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ. ეგაა, სათამაშო დისციპლინა ჯერ ისე ვერ აუწყვიათ, როგორც ფლორიდელებს, ამ სამშაბათს კი „მაიამი" ამ მხრივაც მოიკოჭლებდა. სტუმრებს ორი წამყვანი მოთამაშე, მცველი ჯეისონ უილიამსი და დარბაისელი შეინ ბეტიე აკლდათ, მაგრამ მაინც გაკვეთეს მასპინძელთა ცუდად ორგანიზებული დაცვა და 48 წუთში 107 ქულა ჩაუგდეს. „მაიამის" დამცველები განსაკუთრებით ბოლო წუთებში გახევდნენ, როცა მატჩის დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია. „გრიზლიზის" ახალბედა ფორვარდი დრიუ გუდენი მთელი შეხვედრის განმავლობაში ჯობდა მაიამელ ოპონენტს, ასევე ახალბედა კერონ ბატლერს და გარდამტეხ ეპიზოდშიც დაჩაგრა. 84:84 ანგარიშზე გუდენმა ორი ბურთი ჩააგდო, თითო-თითო პაუ გასოლმა და ლორენცენ რაიტმაც წაუმატეს და „მემფისი" 92:84 გაექცა მასპინძლებს, რომელთაც საბოლოოდ ხელში ერთი ბლუჯა დათვის ბალანიღა შერჩათ.

იმ დღეს სუსტ მეტოქესთან წააგო მეორე ფლორიდულმა კლუბმა. ჯ. წალკოტქალაქ ორლანდოს ლაღი ბიჭები ჩრდილოურ სამრეწველო გიგანტ ჩიკაგოს სტუმრობდნენ. იქაურ ვეება დარბაზ „იუნაიტედ სენთერში", რომელიც ადრე მრავალი მსუქანი გუნდის სასაკლაო იყო, ამ ბოლო წლებში კი ლამის მუზეუმად ქცეულა, ორლანდოელებს მოულოდნელად წამოუხტა მთვლემარე „ხარი" და უმოწყალოდ დაჩლიქა მნახველები. დამარცხებულებს აკლდათ ერთ-ერთი ლიდერი გრანტ ჰილი და იქნებ ამასაც დააბრალონ 20-ქულიანი წაგება. ისინი კარგა ხანია გრანტის გამოჯანმრთელებას უცდიან, მაგრამ ჰილს იმდენად აქვს დაქუცმაცებულ-აწყობილი კოჭის ძვალ-მყესები, რომ მის საბოლოოდ გამოჯანმრთელების მომლოდინე მისიანთ კარგა ხანს მოუწევთ ცდა.

დაძაბუნებული ჩიკაგოელი „ხარები" ბოლო ოთხი წელია, კანტიკუნტად აკრეფილი გამარჯვებებითა და წარსულის მოგონებებით იკვებებიან, მათი დიდების შემქმნელი ლეგენდები კი სხვა გუნდებს ახმარენ სიბერით მოსუსტებულ ხელ-ფეხს და „ჩიკაგოში" თამაშისას დაგროვილ გამოცდილებას. ვაშინგტონში ასეთი რამ მოხდა — ორი ბებერი და ძველი ხარი, მაიკლ ჯორდანი და სკოტი პიპენი ცხოვრებაში პირველად შეასკდნენ ერთმანეთს. პიპენი ათი წლის განმავლობაში იჩრდილებოდა ჯორდანთან თამაშით, ახლა კი მან თავის „პორტლენდს" ძველი ძმაკაცის „ვაშინგტონი" დაამარცხებინა. მართალია, ორივემ თანაბარი ოდენობით დააგროვა ქულები, 14-14 ჩაუგდეს ერთმანეთს, მაგრამ თუ ჯორდანი ამას ინერტულად აკეთებდა, პიპენი მომაკვდინებელ ეპიზოდებში ვარგობდა და აკი მისი „პორტლენდი" თავიდანვე წინ გაიჭრა, საბოლოოდ კი 19-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა.

„ვიცოდი, რომ „პიპს" ძალიან სურდა ამ თამაშში თავის გამოჩენა. მეც მინდოდა, რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება, მაგრამ არ გამომივიდა. ჩემი გუნდიც ნაადრევად დანებდა მეტოქეს" — წუხდა ჯორდანი ნამატჩევს.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს" ერთხელაც მოეჭრა თავი. ბოლო სამი პლეი ოფის მომგებმა ფილ ჯექსონის შეგირდებმა ამჯერად „გოლდენ სტეიტთან" წააგეს და ქომაგები ისევ ჩაფიქრდნენ. გაღრმავდა ეჭვი, რომ „ლეიკერსის" პრობლემები შაკილ ონილის ცერის ტრავმაზე შორს მიდის. შაკილმა მოირჩინა ცერი, დაბრუნდა და „გოლდენ სტეიტს" 36 ქულაც ჩაუგდო, მაგრამ ამით მის გუნდს არაფერი ეშველა, ჩემპიონები შაკილთან ერთადაც ძალიან ბევრს აგებენ. ისინი ზარმაცობენ დაცვაში და ერთმანეთს აჩეჩებენ ბურთს შეტევაში. „გოლდენ სტეიტის" მეორეწლიანმა ღლაპმა უკანაზაზელებმა ჯილბერტ არენასმა და ჯეისონ რიჩარდსონმა კობი ბრაიანტის და კომპანიის წინააღმდეგ ისე მოაგროვეს ნახევარი ასეული ქულა, თითქოს „ლეიკერსს" კი არა, ვილანოვას უნივერსიტეტის გუნდს ეთამაშებოდნენ. რიჩარდსონმა ექვსი ცდიდან ექვსი სამქულიანი ჩაუგდო დაცვაში გაზანტებულ ჩემპიონებს.

კიდევ ერთხელ დაიგრგვინა „ჰიუსტონ როკიტსის" ჩინელმა ცენტრმა იაო მინგმა, მე ნბა-ში მოვედიო. მილიარდიანი ერის 226-სანტიმეტრიანმა შვილმა „საკრამენტოსთან" შეხვედრაში 17 ქულა ჩააგდო, 15 ბურთი ჩამოხსნა, ოპონენტი ვლადე დივაცი (6 ქულა, 6 მოხსნა) ბეჭებზე გააკრა და „ჰიუსტონს" მორიგი გამარჯვება ჩაუწერა. „იაო ადვილად ეჩვევა ნბა-ს კლიმატს და თანდათან გუნდის წამყვანი მოთამაშეც ხდება" — ამბობს სტივ ფრენსისი, „ჰიუსტონის" გამთამაშებელი და ლიდერი, რომელმაც იმ დღეს „საკრამენტოს" 32 ქულა ჩაუგდო.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 15 | 6 | 71,4 |
| ბოსტონი | 14 | 6 | 70,0 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 7 | 66,7 |
| ორლანდო | 12 | 11 | 52,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 12 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 6 | 13 | 31,6 |
| მაიამი | 5 | 16 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 15 | 5 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 15 | 7 | 68,1 |
| დეტროიტი | 12 | 7 | 63,2 |
| ატლანტა | 10 | 10 | 50,0 |
| მილუოკი | 9 | 11 | 45,0 |
| ტორონტო | 7 | 13 | 35,0 |
| ჩიკაგო | 6 | 15 | 28,6 |
| კლივლენდი | 3 | 19 | 13,6 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 19 | 2 | 90,5 |
| ჰიუსტონი | 12 | 8 | 60,0 |
| სან ანტონიო | 12 | 9 | 57,1 |
| იუტა | 12 | 9 | 57,1 |
| მინესოტა | 12 | 10 | 54,5 |
| დენვერი | 6 | 15 | 28,5 |
| მემფისი | 4 | 18 | 18,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 18 | 6 | 75,0 |
| პორტლენდი | 10 | 9 | 52,6 |
| სიეტლი | 11 | 10 | 52,4 |
| ფინიქსი | 10 | 10 | 50,0 |
| კლიპერსი | 9 | 13 | 40,9 |
| ლეიკერსი | 9 | 14 | 39,1 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 13 | 38,1 |



ალენ აივერსონმა ცოლი ტავანა გალახა და ამის გამო დღემდე საპოლიციოდ აქვს საქმე

# აივერსონმა და პოლიციამ ერთმანეთს სიტყვები ესროლეს

**ვერა და ვერ** დაალწია პოლიციას თავი „ფილადელფია სიქსერზის" სუპერვარსკვლავმა ალენ აივერსონმა. დაალწია კი არა, მგონი, თვითონ უფრო ეძებს შარს, რამდენიმე დღის წინ განუცხადებია, ფილადელფიის პოლიციელებს ჩემი მოკვლა სურთ, ფრთხილად იყვნენ, უწინ მე მოვწევ მათ რამეს, ვიდრე ისინიო. ამ დაუფიქრებელ სიტყვებს ქალაქის პოლიციის სამმართველო კრაზანების სკასავით აუზუზუნებია. ქალაქის პოლიციის ერთ-ერთმა დიდმოხელემ რობერტ ელისმა ბრძანა, რომ პირადად მასთან 40-ზე მეტ ოფიცერს შეუტანია საჩივარი და გათავხედებული ვარსკვლავის დასჯა მოუთხოვია.

აივერსონი შემდგომში იძულებული გახდარა, კეთილგონიერებისთვის მოეხმო და როყიოდ ნასროლ სიტყვებში კორექტივები შეეტანა. „მე მესმის, რომ პოლიციის ოფიცრებს ურთულესი სამუშაო აქვთ და მჯერა, რომ მათი უმრავლესობა უმწიკვლოდ ემსახურება ხალხს. რაც ვთქვი, ეს მხოლოდ რამდენიმე ინდივიდუუმებს ეხება, რომლებსაც, არ ვიცი რატომ, ჩემი შურთ და კრიჭაში მიდგანან" — თქვა ამ ორიოდ დღის წინ აივერსონმა. და შემდგომ ეს ფრაზები გაშიფრა. თურმე ამ ზაფხულს, როდესაც ცოლის ცემასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ აივერსონი ვირის აბანოში ჩაუმწყვდევიათ, მისი ადვოკატი შემთხვევით შესწრებია რამდენიმე პოლიციელის ღრეობას. ისინი თურმე იმას აღნიშნავდნენ, რომ როგორც იქნა, აივერსონი ჩაუვარდათ ხელში და წინასწარ ტკბებოდნენ იმით, თუ როგორ გააძრობდნენ მას ტყავს.

„ვერ გეტყვით, მართლა სურთ თუ არა მათ ჩემი მოკვლა, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიცია გამუდმებით თან დამდევს. ქუდის საყიდლადაც ველარ შევსულვარ მაღაზიაში" — თითქოს დაიჩივლა აივერსონმა. აეღვენებიან აბა, რა იქნება, როცა ამ ბიჭს უამრავი ისეთი რამ ჩაუდენია, რაც ფორმიანებს აღიზიანებთ და აქტიური მოქმედებისკენ უბიძგებთ.

# რუბენის ცოლი ნესიერი ქალი ყოფილა



**ნბა-ს კლუბმა** „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" 100 000 დოლარით დააჯარიმა საკუთარი მოთამაშე რუბენ პატერსონი, ვინაც ამას წინათ სასტიკად გვემა საკუთარი ცოლი შენონი.

25 ნოემბერს პორტლენდის სასწრაფო სამსახურ 911-ში მავანმა ქალმა დარეკა და რადისტს განწირული ხმით აუწყა, რომ ქმარი სასტიკად ეპყრობოდა. ადგილზე მისულმა პოლიციამ უკვე იცოდა, რომ საქმე ექნებოდათ ორმეტრიან ზობა ზანგთან, შფოთიან და ვირგლა კალათბურთელ რუბენ პატერსონთან. პატერსონმა წინააღმდეგობა არ გაუწია პოლიციას და ფორმიანებს განსაკუთრებული ბორგვის გარეშე ჩაბარდა, მერეც მშვიდად იქცეოდა, ვარსკვლავობაც დაეხმარა და პოლიციამ უმტკივნეულოდ, 1000 დოლარად თავდებით გამოუშვა. ცოლსიც კარგი ქალი გამოდგა და არ გაურთულებია საქმე, მგონი, შეურიგდა კიდეც მასზე ხელის ამწევ ქმარს. მაგრამ ცოლსა და სამართალთან შერიგებული პატერსონი მაინც დაისაჯა. ცუდი საქციელი საკუთარმა კლუბმა არ შეარჩინა.

„რუბენმა თავისი უღირსი საქციელით ჩირქი მოსცხო ჩვენს ორგანიზაციას, გულშემატკივრებს და მთლიანად ქალაქს. ჩვენ ვზრუნავთ რუბენზე და მის ოჯახზე პატივს ვცემთ მათ და ვხედებით, რომ ეს იყო ოჯახური უთანხმოება. მაგრამ გვინდა, რუბენმა ისიც შეიგნოს, რომ მასავით ცნობილ პიროვნებას ყოფა-ქცევის გაცილებით მაღალი სტანდარტი მოეთხოვება" — თქვა პატერსონის კისერზე მეათედ მილიონიანი ჯარიმის ჩამომკიდებმა ბობ ვისტიტმა, „პორტლენდის" გენერალურმა მენეჯერმა.

კლუბის მიერ მოთამაშის პირად საქმე-უთანხმოებებში ასე უხეშად ცხვირის ჩაყოფას და ამხელა ჯარიმების დარიცხვას შემდეგი ახსნა აქვს. „პორტლენდის" მამები იმას შეუშფოთებია, რომ გუნდში ერთობ დაეცა სათამაშო დისციპლინა. შარშანი, თავნება მოთამაშეებით სავსე „ბლეიზერსში" კალათბურთზე ცოტა თუ ფიქრობს. სამაგიეროდ, გუნდს ბევრი წევრი მარიხუანას აბოლებს, სვამს და ცოლებს ცემს. ამას წინათ პოლიციამ „პორტლენდის" კიდევ ორ ვარსკვლავს — დეიმონ სტუდემაიერსა და რაშიდ უოლესს ჩაავლო ხელი, როცა ესენი პორტლენდ — სიეტლის გზატკეცილის ერთ მიყრუებულ მონაკვეთზე ბარში პლანით იბრუჟებოდნენ.



ნესტორ ხერგიანი, ზურაბ ზვიადაური და დავით ქევხიშვილი



შოთა ხაბარელი

# ფორმულის ქვემოთ ამოუხსნელი ფორმულაა

**საქართველოს** ძიუდოისტთა მთელი ნალები კაფე-კლუბ „მსოფლიოს სპორტში" შეკრიბეს და სპორტულ ჟურნალისტებსაც იქვე გვიხმეს. მყუდრო დარბაზის ჭერიდან ალისფერი სარბოლო ბოლიდი ვეება ჭაღივით დაეკიდათ, მის ქვემოთ კი, „პრეზიდიუმში" წლევანდელი სეზონის თავგამოჩენილი ძიუდოისტები ისხდნენ. იქვე შეგვახსენეს მათი წლევანდელი მონაგარი: სამივე ასაკის ძიუდოისტებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მოიპოვეს თერთმეტ-თერთმეტი ოქროსა და ვერცხლის, ხუთიც ბრინჯაოს მედალი; კაცებმა კაცურად იბრძოლეს გუნდურ პირველობებში, სადაც ევროპის ჩემპიონები გახდნენ, მსოფლიოზე კი მეორე ადგილზე გავიდნენ. მათ ბრწყინვალედ აუბეს მხარი მომავალი თაობების წარმომადგენლებმა — ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატებში ოთხი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ამას კი გუნდურ პირველობებში გამარჯვებებიც მიაყოლეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ახალგაზრდების გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, რომლებსაც ასეთ ტატამზე ოთხი წელიწადია, ძალა არ მოუსინჯავთ, მაგრამ მეტოქენი იქ მაინც ყველა განზომილებით დაჯაბნეს. თანაც, მოწინააღმდეგეებს თუ ტატამზე ზურგს გოგონათა შედეგებიც უმაგრებდა, ჩვენს ბიჭებს ასეთი დამხმარე ძალა არ ჰყოლიათ. და მაინც, ქართველებმა იყოჩაღეს. ყოველივე ამასთან გაიხსენეს წარმატებები საერთაშორისო და დიდი პრიზის კომერციულ ტურნირებზეც, სადაც ჩვენმა ძიუდოისტებმა 27 ოქროს, 24 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი მოხვეტეს.

ეტყობა, ეს მონაგარი კვლავაც შეივსება, რადგან წინ კიდევ ერთი კომერციული ტურნირია. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა მისი სამწყსოს წლევანდელ გამოსვლებს ფანტასტიკური უწოდა, ხოლო ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ეს სეზონი ხუთიანზე შეაფასა.

მაგრამ როგორ მიაღწიეს ამ ყოველივეს ჩვენმა ძიუდოისტებმა, როცა, მათთვის სახელმწიფომ სულ რაღაც 120 ათასი ლარი გაიღო მაშინ, როცა დილარ ხაბულიანის ცნობით, საფრანგეთს 4, სამხრეთ კორეას 6, რუსეთს კი სახელმწიფო ხაზინიდან 12 მილიონი დოლარი დაუხარჯავს. არადა, ხაბულიანის თქმით, ჩვენს ძიუდოისტებს სეზონზე, სულ ცოტა, 200 ათასი დოლარი სჭირდებათ, რადგან ერთი ტურნირისთვის მომზადება მათ არანაკლებ 60 ათასი დოლარი უჯდებათ.

ჩვენი ძიუდოისტების გაჭირვებული მდგომარეობა უფრო გასაგები გახდება თუ ვიტყვით, რომ მათთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაღებულ 120 თუ 150 ათასი ლარიდან ნახევარი თბილისის ტრადიციული ტურნირის ჩასატარებლად დაიხარჯა.

სიტყვამ მოიტანა და, გაისად ამ ტურნირზე გამოსვლის სურვილი, როგორც იმ შეკრებაზე ითქვა, უკვე ოფიციალურად გამოთქვეს იაპონელებმა, ფრანგებმა, კუბელებმა და ესპანელებმა. თბილისურ ტატამზე სულ 40-მდე ქვეყნის ძიუდოისტებს ელიან, საქართველო კი ოთხი შემადგენლობით იასპარეზებს.

უცხოელთა ლტოლვა ამ ტურნირისკენ გასაგებიცაა, რადგან თავის 30-წლიან ისტორიაში იგი პირველად გასცემს ოლიმპიურ ლიცენზიებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „მსოფლიოს სპორტში" შეკრებილ ქართული ტატამის წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი მადლიერებით მოიხსენიეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. თქვეს, რითაც შეეძლოთ, მაქსიმალურად დაგვეხმარნენო.

დილარ ხაბულიანმა და შოთა ხაბარელმა მადლიერებით მოიხსენიეს ჩვენი, სპორტულ ჟურნალისტთა ამქარიც, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა ძიუდოისტთა სამწყსოს. ჩვენმა ამქარმა ძიუდოისტთა მიმართ ყურადღება ახლაც გამოიჩინა, როცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ისინი საათებით დაასაჩუქრა. ამ შეხვედრაზე ხელცარიელი არც საქართველოს ძიუდოს ფედერაცია მოსულა. მან თავისი ვერსიით სამ საუკეთესო ძიუდოისტს, ზურაბ ზვიადაურს, ნესტორ ხერგიანსა და დავით ქევხიშვილს ფულადი ჯილდოების გადასცა. იქვე გაგვაცნეს ფედერაციის ვერსიით საუკეთესო ძიუდოისტთა ათეულის დანარჩენი წევრებიც: ივერი ჯიქურაული, გიორგი რევაზიშვილი, [illegible] რიკიშვილი, დავით [illegible] ქსი დავითაშვილი, მორის თადუმაძე და გიორგი გუგავა;

მწვრთნელთა ათეული კი ასეთია: შოთა ხაბარელი, ოთარ ნათელაშვილი, ანზორ მარგველანი, ბიძინა მოხევიშვილი, ტარიელ შათირიშვილი, გუგულა აბრამიშვილი, გურამ მოდებაძე, მიხეილ ზაუტაშვილი, სოლომონ ფეიქრიშვილი და ტარიელ მამრიკიშვილი.

მსაჯებიდან ესენი დასახელდნენ: მერაბ ლოსეურაშვილი, ზურაბ კახაბრიშვილი, ვლადიმერ ნუცუბიძე, ელგუჯა მურადაშვილი, გია ხოსიტაშვილი, ამირან კელიხაშვილი, ზაზა მჭედლიძე, ტარიელ ცინცაძე, ნუგზარ გოგოლაური და დავით ლაზრიშვილი.

ეს წინასაახალწლო შეხვედრა, როგორც ასეთ თავყრილობას უხდება, ალაფურშეტით გასრულდა, მაგრამ ახლა, როცა „მსოფლიოს სპორტის" ჭერზე დაკიდებული ის ალისფერი სარბოლო ავტო გვახსენდება, გვგონია, რომ მისი ძრავის ფორმულა უფრო იოლი ასახსნელია, ვიდრე ჩვენი ძიუდოისტების წლევანდელი წარმატებების ფორმულა.

**ავთანდილ ბჟვიშვილი**



ძიუდოისტები დილარ ხაბულიანმა და ელგუჯა ბერიშვილმა დააჯილდოვეს

## ხელბურთი

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები დანია. 6-15 დეკემბერი

A ჯგუფი

საფრანგეთი 29:27 იუგოსლავია
დანია 25:23 რუმინეთი
ავსტრია 32:19 უკრაინა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 0 | 0 | 72:63 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 1 | 89:77 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 70:68 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 2 | 76:76 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 2 | 75:78 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 3 | 63:83 | 0 |

B ჯგუფი

რუსეთი 39:29 უნგრეთი
ნორვეგია 27:20 ჩეხეთი
სლოვენია 30:26 გერმანია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 77:56 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 82:75 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 93:93 | 4 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 78:82 | 2 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 2 | 71:80 | 2 |
| გერმანია | 0 | 0 | 3 | 66:81 | 0 |

**მეორე ჯგუფურ** ეტაპზე გუნდებს წინასწარი რაუნდის შედეგები გადაჰყვათ და თითოეულს სამი მატჩიღა დარჩა გასამართი, პლეი ოფში კი ორ-ორი უძლიერესი გადის. ასე რომ, შესაძლოა, ყოველი ქულა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

პირველივე ტურში მეტად პრინციპული დაპირისპირება შედგა მსოფლიოს ჩემპიონ რუსეთსა და ევროპის ჩემპიონ უნგრეთს შორის. სლავი ქალები წინა შეხვედრაში ოლიმპიურ ჩემპიონ ნორვეგიელებთან დამარცხდნენ და მორიგი წაგების შემთხვევაში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსს დაკარგავდნენ. ამიტომაც ჭკუით მოიქცნენ და უპირველესად საკუთარი კარის დაცვა გაამაგრეს, მერე კი მეტოქისას შეუტიეს. თანაც როგორ — მადიარებმა ვერაფრით მოახერხეს მარინა ნაუკოვიჩის (გაიტანა 16 გოლი) და ირინა პოლტორაცკაიას (12) შეკავება. უნგრელები ვერც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, ათლეტური აგნეშ ფარკაშის 11-მა გოლმა გადაარჩინა განადგურებას. რუსთა მწვრთნელ ევგენი ტრეფილოვის ტაქტიკამ არათუ გაამართლა, სენსაციური შედეგი მოიტანა, რადგან ათბურთიანი სხვაობით მათ გამარჯვებას ვერავინ ივარაუდებდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ფრანგთა მიერ მანამდე უდანაკარგო იუგოსლავიელების ძლევა. საერთო აზრით, იუგ ქალებს მატჩის მოგება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ისე უგულოდ უტევდნენ ვალერი ნიკოლას კარს, რომ სულ ცოტა, ერთი ათჯერ პირისპირ გაჭრილებმა ვერ გაუტანეს და დამსახურებულადაც დამარცხდნენ.

## ველორბოლა

# ვირის შხაპი ბუნიოს

**ბუშინფინ** დასავლეთ ბელგიის მყუდრო ქალაქ კორტრიკში იტალიელი ველომრბოლის, მსოფლიოს ჩემპიონ ჯანი ბუნიოს სასამართლო პროცესი ერთობ ხმაურიანი განაჩენით დასრულდა.

ბუნიოს საქმეს 2 წელიწადს იძიებდნენ. სწორედ ამდენი ხნის წინ ბელგიაში იტალიელ მრბოლს ძლიერი სტიმულატორის, ამფეტამინის ხუთი ამპულა უპოვეს. სამართალდამცავები ეჭვობდნენ, რომ ბუნიო აკრძალული პრეპარატით ვაჭრობდა, რაც საბოლოოდ ვერ დაუმტკიცეს, თუმც მხოლოდ შენახვისთვისაც საკმაოდ მძიმედ დასაჯეს — იგი 5 ათას ევროს გადაიხდის და ნახევარი წლით ვირის აბანოშიც ჩაჯდება.

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

— 10 დეკემბერი —

**მინესოტა 5:3 ტამპა 1:0 3:2 1:1**
1:0 ბუშარი (18), 1:1 ბოილი (22), 2:1 პარკი (24), 3:1 სუოლცი (30), 4:1 გაბორიკი (34), 4:2 ბოილი (37), 5:2 მიტჩელი (58), 5:3 სვიტოვი (60)

მარიან გაბორიკი იშვიათად ცბიერი და კირკიტა მოთამაშეა, სულ მესამე სეზონია, ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ მეტოქე მეკარეების სუსტი წერტილები „ზეპირად იცის". „ან ფეხებს შუა, ანაც მაღალ კუთხეში, ოღონდ ძალიან სწრაფად უნდა დაარტყა" — აი, მინესოტას სლოვაკი ლიდერის რეცეპტი ტამპას მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინისთვის. 22 წლის ფორვარდმა ბრწყინვალედ გამოიყენა ეს ცოდნა — სეზონის ორი აღმოჩენის, მინესოტასა და ტამპას შეხვედრაში მან გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. გაბორიკი 19 შაიბით ლიდერობს მეგოლეთა შორის, თანაც ლამის ნახევარი სამ მატჩში მიითვალა ჰეთ თრიქების წყალობით. საინტერესოა, რომ ამ გოლის შემდეგ ხაბიბულინმა თავად მოითხოვა გამოცვლა.

**ნეშვილი 0:3 ლოს ანჯელესი 0:2 0:1 0:0**
0:1 პალფი (13), 0:2 ბელანჟე (19), 0:3 დედმარში (33)

ნეშვილს დეკემბერი ცუდად აქვს დაცდილი. მიყოლებით სამი წელია (!), „მტაცებლები" წლის ბოლო თვეში ზედიზედ ორჯერ მთლად ხელმოცარულნი რჩებიან, „მშრალად" აგებენ.

**ფლორიდა 2:5 ფილადელფია 1:1 0:3 1:1**
0:1 ზაიდენბერგი (2), 1:1 ნოვოსელცევი (3), 1:2 განიე (25), 1:3 განიე (33), 1:4 ა. სავაჟო (38), 2:4 იოკინენი (43), 2:5 უილიამსი (57)

გოლის გატანამაც ვერ იხსნა ფლორიდის ლიდერი ოლი იოკინენი თავკაც მაიკ კინენის რისხვისაგან. „გუნდის საუკეთესო მოთამაშეს ასეთი პასების კეთება არ ეკადრება" — თქვა „რკინის მაიკმა" ნამატჩევს. ისე, ფინელი ამას ნამდვილად იმსახურებდა, რომ არა მისი ჰაიჰარა პასები, მეორე და მესამე შაიბები არ გავიდოდა.

**ნიუ ჯერსი 2:0 სენტ ლუისი 1:0 1:0 0:0**
1:0 მაკენზი (14), 2:0 სტივენსონი (31)

**ტორონტო 4:2 პიტსბურგი 1:0 1:1 2:1**
1:0 სუნდინი (10), 2:0 ჰოგლუნდი (33), 2:1 კოვალიოვი (38), 2:2 ლემიე (51), 3:2 სუნდინი (54), 4:2 ჰილი (60)

**აილენდერსი 2:3 ჩიკაგო 0:0 1:1 1:2**
0:1 სალივანი (28), 1:1 ჰამრლიკი (33), 2:1 სკა ჩარდი (44), 2:2 დაზე (48), 2:3 არნასონი (54)

# მარიან და მარიან მეგოლეები არიან

**ბოსტონი 2:4 მონრეალი 0:1 2:3 0:0**
0:1 ბილერსი (6), 0:2 პერო (24), 0:3 პეტროვი (27), 0:4 მაკეი (31), 1:4 ტორნტონი (38), 2:4 ნაბლი (40)

**ბუფალო 2:4 ოტავა 1:2 0:1 1:1**
0:1 უაიტი (10), 1:1 ტალინდერი (15), 1:2 ბ. სმიტი (19), 1:3 ჰოსა (32), 1:4 ჰოსა (53), 2:4 კოტალიკი (55)

როგორ მოგწონთ მეგოლეთა დაფა სლოვაკ გაბორიკს თავისი თანამემამულე, ოტაველი მარიან ჰოსა მისდევს. ამ მატჩში ჰოსამ მე-18 შაიბა შეაგდო. მესამეც ახალი თაობის წარმომადგენელია, ატლანტელი რუსი ილია კოვალჩუკი (17 შაიბა).

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

ტამპელმა პაველ კობინამ თავის მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინს შაიბის მოგერიებაში ხელი შეუშალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წამიერი შეხვედრა

აი, სად შეხვდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრები და თანამებრძოლები: „პორტლენდისა“ და „ვაშინგტონის“ თამაშისას გადავარდნილი ბურთის მოსაგებად ერთმანეთს შეტაკებიან სკოტი პიპენი და მაიკლ ჯორდანი, ოდინდელი „ჩიკაგო ბულზის“ ლეგენდები. ბურთი სკოტის მოუგია და სიცილითაც მომკვდარა.


REUTERS ვაშინგტონიდან


REUTERS სან დიეგოდან

# მიიღო

ასე უნდა გაფრინდე, თუ ამერიკულ ბურთაობაში ბურთის დაჭერა გწადია. „სან დიეგო ჩარჯერზის“ მიმღები ერიკ პარკერი (88) ლამის ნახევარ „ოკლენდ რაიდერზის“ გუნდს გადაევლო თავზე, ოღონდკი პასი მიელო.

# წილისყრა

პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ლიბერტადორესის თასის საგაისო შეჯიბრის წილისყრა გაიმართა. მთელი სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის დიდმოხელეებმა იქ მოიყარეს თავი და კარგ ხასიათზეც ჩანდნენ. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ხულიო გრონდონა (მარცხნივ) და კონმებოლის პრეზიდენტი ნიკოლას ლეოსი ტკბილად ხითხითებდნენ.


REUTERS ასუნსიონიდან



REUTERS დაკადან

# ქალთა ჩხუბი

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გრძელდება პოლიციელთა მსოფლიო ტურნირი თავისუფალ ჩხუბში, შეჯიბრში თერთმეტი ქვეყნის ორივე სქესის პოლიციელები მონაწილეობენ. ჩინელი ჰან ვეი წიხლით მიფრენია უნგრელ მანდომი ბალაოს და მოგვიანებით ბრძოლაც მოუგია.


REUTERS პეკინიდან

# დღის კაცი

ვესტინდოელ მოკრიკეტეთა ნაკრები დაკას ჩასულა და ბანგლადეშელებს ეჯიბრება. ჯერმეინ ვილსონი პირველი ტესტის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადებულა და „კოკა კოლას“ მიერ დაწესებული ათასი დოლარიც მიუღია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე ლოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge